პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 240 (19382) ◆ პარასკევი, 18 ოქტომბერი, 1985 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

კომუნისტებო! იყავით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გაშლილი საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ავანგარდში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

საოქტომბრო შრომითი ვახტზე

საწარმოო გაერთიანების „საქნავთობის" ლილოს ნავთობგაზმომპოვებელი სამმართველოს № 1 სარეწის მშრომელებმა, რომლებიც საოქტომბრო შრომით ვახტზე დგანან, გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმა. წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს თითოეულმა ბრიგადამ, ცვლამ, მუშამ. შრომით მეტოქეობაში დაწინაურდა ოპერატორი ვალერიან სპეტიშვილი. იგი 25 წელია შრომობს ნავთობის მრეწველობაში და თავის საქმეს მუდამ პირნათლად ასრულებს.

სურათზე: ოპერატორი ვ. სპეტიშვილი.

ფ. კრიმსკის ფოტო.

ადამიანისა და ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ

1985 წლის 15 ოქტომბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი.

სკკპ წესდების ცვლილებები.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტი.

ამ საკითხებზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, რომელმაც ღრმად და ვრცლად დაახასიათა პლენუმზე წარმოდგენილი დოკუმენტები. „ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებია, — თქვა მან. — აქ საქმე ეხება ჩვენს საპროგრამო მიზნებს, პარტიის გენერალური კურსის, მისი ეკონომიკური სტრატეგიის საკვანძო საკითხებს, მასებში მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს ისტორიის თანამედროვე, უაღრესად რთულ და პასუხსაგებ მონაკვეთში, რომელსაც მრავალი თვალსაზრისით — როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით — გარდატეხის ხასიათი აქვს".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, შემდეგ კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილმა თათბირმა წამოაყენეს და დაასაბუთეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და ამ საფუძველზე ჩვენი საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის კონცეფცია. ეს კონცეფცია ოქტომბრის პლენუმზე განსახილველად წამოყენებული სამივე დოკუმენტის ღერძია, რომლებიც გამოირჩევა მაღალი მეცნიერული და იდეურ-პოლიტიკური დონით, პრობლემების დაყენებისა და გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომით, რეალიზმით, მკაფიო პრაქტიკული მიმართულებით, ნათელი აზრით და სიტყვით.

პარტია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისი თეორიული და პრაქტიკული დებულებების, თავისი პოლიტიკის მემკვიდრეობითობას.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ სწორია პარტიის მესამე პროგრამის ძირითადი შინაარსი, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ განვლილი მეოთხედი საუკუნის მანძილზე საბჭოთა ქვეყანამ წინ წაიწია კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით.

მის ახალ რედაქციაში შენარჩუნებულია პროგრამის ძირითადი თეორიული და პოლიტიკური დებულებები. ამით მკაფიოდ გამოიხატება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიული პრინციპულობა და თანამიმდევრულობა, მისი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი. ეს არის მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი ავტორიტეტის მნიშვნელოვანი მიზეზი.

თეორიაში თანამიმდევრულობა და მემკვიდრეობითობა უთუოდ გულისხმობს მის შემოქმედებით განვითარებას ისტორიული გამოცდილების, იმ ცვლილებების შესაბამისად, რომლებიც მოხდა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ პროგრამის მიღების დროიდან. ამავე დროს კრიტიკულად არის გააზრებული ის ფორმულირებები, რომლებმაც ვერ გაუძლეს დროის გამოცდას.

პარტიის პროგრამას საფუძვლად უდევს მისი აგების ლენინური პრინციპები. იგი შეიცავს ქმედითი პროცესის ზუსტ ფორმულირებას, მკაფიოდ აყალიბებს ძირითად შეხედულებებს, პოლიტიკურ ამოცანებს. იგი თავისუფალია ზედმეტი დეტალიზაციისაგან, უნიადაგო ფანტაზიისაგან, ემყარება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმ პროცესების რეალისტურ ანალიზს, რომლებიც ქვეყნის შიგნით და მსოფლიო ასპარეზზე ხდება. ხელმძღვანელობს რა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კომუნისტური პერსპექტივით, პროგრამა გვაძლევს პარტიისა და ხალხის მუშაობის სტრატეგიული მიმართულებების მკაფიო და ვრცელ დახასიათებას. მოკლედ რომ ვთქვათ, პროგრამა მკაფიო და ზუსტი განცხადებაა იმისა, რისთვისაც იღვწის და იბრძვის პარტია.

„პარტიის მესამე პროგრამა თავისი ახლანდელი რედაქციით, — აღინიშნა პლენუმზე, — სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პროგრამაა. ეს არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა".

დაჩქარება დროის აუცილებელი მოთხოვნაა. მას გვკარნახობს როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკური ვითარება.

მხოლოდ დაჩქარების გზით შეიძლება დავაკმაყოფილოთ ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, შევქმნათ ადამიანის ყოველმხრივი განვითარების პირობები.

მხოლოდ განვითარების დაჩქარების გზით შეძლებს სოციალიზმი მოიპოვოს გამარჯვება ეკონომიკაში, სოციალურ და სულიერ სფეროში კაპიტალიზმთან დიდ ისტორიულ შეჯიბრებაში.

მხოლოდ დაჩქარების გზით შეიძლება კვლავაც განვამტკიცოთ ქვეყნის თავდაცვა, დავიცვათ სოციალიზმის მონაპოვრები, თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომი.

მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების განვითარების დაჩქარების, მისი ყოველმხრივი სრულყოფის გზით შეიძლება მივაღწიოთ კომუნისტური საზოგადოების მწვერვალებს, რომლისკენაც მტკიცედ აქვს აღებული კურსი ჩვენს პარტიას.

პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ სოციალიზმსა და კომუნიზმს — ერთიანი კომუნისტური ფორმაციის ორ ფაზას შორის არ არის და არც შეიძლება იყოს მკვეთრი ზღვარი. არ შეიძლება უშუალოდ, სოციალიზმის გვერდის ავლით უმაღლეს ფაზაზე გადასვლა. ამავე დროს სოციალიზმიც როდია დამოუკიდებელი ფორმაცია. პირველი ფაზის მეორეში გადაზრდა ხდება საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონებით. აქ დაუშვებელია როგორც წინ გაჭრა, ისე ზოზინი.

პროგრამის ახალი რედაქცია შეიცავს სოციალიზმის ისტორიული მიღწევებისა და უპირატესობების გამდიდრებულ დახასიათებას. მასში მოხაზულია კონტურები საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა დარგში, რომლებიც მან უნდა შეიძინოს სკკპ პროგრამის შესრულების შედეგად.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგია განსაზღვრულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ვარაუდით. იგი ითვალისწინებს ისტორიული მასშტაბის გარდაქმნებს — სახალხო მეურნეობის ახალ ტექნიკურ რეკონსტრუქციას, მის გადაყვანას ინტენსიფიკაციის რელსებზე, საბჭოთა ეკონომიკის აყვანას ორგანიზაციისა და ეფექტიანობის უმაღლეს დონეზე.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ჩამოყალიბებული სოციალური პოლიტიკა მოიცავს ადამიანის ცხოვრების მთელ სივრცეს — მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებით, ჯანმრთელობითა და დასვენებით დაწყებული და სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული ურთიერთობებით დამთავრებული. სოციალური პოლიტიკა, ითქვა პლენუმზე, პარტიას მიაჩნია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერების მძლავრ საშუალებად, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად.

პარტია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს პროექტის დებულებებს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის უფრო სრული განხორციელების შესახებ. იგი ცდილობს შექმნას პირობები ყველა მშრომელის, კოლექტივისა და ორგანიზაციის ყოველდღიური, აქტიური და ქმედითი მონაწილეობისათვის სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში. ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს სოციალიზმის დემოკრატიული ბუნება, მისი ის საარსებო მოთხოვნილება, რომ საზრდოობდეს მასების შემოქმედებით.

იდეოლოგიური მუშაობის დარგში პროგრამული დებულებები, რომლებსაც პარტია უკავშირებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, ითვალისწინებს ადამიანთა აღზრდას მართალი სიტყვითა და რეალური საქმით. „მხოლოდ კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სტრატეგიით, ძლიერი სოციალური პოლიტიკითა და მიზანმიმართული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით, მათი განუყრელი ერთიანობით შეიძლება გავააქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, ურომლისოდაც ვერ გადაწყდება ვერც ერთი დასახული ამოცანა", — აღინიშნა პლენუმზე.

ПРАВДА

17 ოქტომბრის მოწინავე

საბჭოთა საზოგადოებაში ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის კეთდება.

საკმაოდ სრულად აისახა პროგრამის ახალ რედაქციაში მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენციები. საქმე ეხება რეალური სოციალიზმის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას, მისი ავტორიტეტისა და გავლენის, სამართლიან საწყისებზე ცხოვრების განახლების მოსურნე ხალხის მასების როლის ზრდას, საქმე ეხება მსოფლიოში იმპერიალიზმის რეაქციული, აგრესიული ძალების მიერ პოზიტიური გარდაქმნებისადმი წინააღმდეგობის გაძლიერებას, მშვიდობის პოტენციალის განმტკიცებას, სოციალიზმის ქვეყნების, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, ათობით ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფართო ომისსაწინააღმდეგო დემოკრატიული მოძრაობის გამაერთიანებელი მშვიდობის პოტენციალის განმტკიცებას. რეალური სოციალისტური სამყაროს, რეაქციისა და აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისა და პროგრესისათვის მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ურთიერთმოქმედება განსაზღვრავს კიდეც ჩვენს ეპოქაში მსოფლიოს განვითარების საერთო მიმართულებას. პროგრესული ძალები პროგრამაში ნახავენ, რომ უცვლელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოლიდარობა მათი ბრძოლისადმი, რომ პატივისცემით ეკიდება მათ შეხედულებებსა და პოზიციებს, ესწრაფვის ხელი შეუწყოს მათი ერთიანობის განმტკიცებას.

თანამედროვეობის ძირეული პრობლემაა მილიტარიზმისა და ომის ძალების ალაგმვა, მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფა.

პროგრამის ახალი რედაქცია კარგ ორიენტირებს სახავს თანამედროვე უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებაში სწორი პოლიტიკური კურსის გამომუშავებისათვის. „იგი, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — მთლიანად გამოხატავს ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების სოციალური პროგრესისა და ხალხების ეროვნული განთავისუფლების ჩვენეულ კონცეფციას, მასში ჩამოყალიბებულია პოლიტიკის ფუნდამენტური საფუძველი — მე ვიტყოდი, მისი მთავარი საყრდენი, რომელიც კვლავ ურყევია. ამასთან პროგრამა ცხადყოფს საერთაშორისო საქმეებისადმი ჩვენი პარტიის ფართო მიდგომას, მის უნარს დროულად ითვალისწინებდეს ვითარების ცვლილებას, აუჩქარებლად უსწორებდეს თვალს რეალობას, ობიექტურად აფასებდეს მიმდინარე ამბებს, მოქნილად რეაგირებდეს მომენტის მოთხოვნებზე".

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი. პროექტი ძირითადად შეესაბამება პარტიის საპროგრამო მოთხოვნებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ამასთან ერთად ისეთი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის შესახებ, როგორიც არის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება და ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების სათანადო დონეზე შენარჩუნება.

ახალ ხუთწლედში ეროვნული შემოსავლისა და მატერიალური წარმოების ყველა დარგის პროდუქციის მატება პირველად იქნება მთლიანად მიღებული შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. მომჭირნეობა დამატებით მასალებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტ წყაროდ იქცევა. კაპიტალური დაბანდებანი ძირითადად პრიორიტეტულ მიმართულებებს მოხმარდება. ამასთან ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, მახვილდება არსებული საწარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციაზე, დაჩქარებით განვითარდება მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობა. დაიწყება მანქანების, მოწყობილობისა და მასალების უახლეს თაობათა გამოშვება, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება.

მეთორმეტე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს შესამჩნევ ძვრას ეფექტიანობისაკენ. მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს ძირეული შემობრუნება ამ მიმართულებით, არ შეიძლება მეცადინეობის შენელება. პირიქით, საჭიროა მისი გაძლიერება. და აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაგეგმვისა და მართვის, მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფა, საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესება, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცება ყველა უბანზე, მასების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივი განვითარება. იმაზე, თუ რამდენად მალე დამთავრდება ინტენსიფიკაციისაკენ, ეფექტიანობისაკენ შემობრუნება, დამოკიდებული იქნება დასახული მიჯნების მიღწევა 2000 წლამდე.

პლენუმზე განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებები. ამასთან გათვალისწინებულ იქნა პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების მასშტაბურობა და სიღრმე; რაც ახალ დიდ მოთხოვნებს უყენებს პარტიული ხელმძღვანელობის დონეს. წესდების ცვლილებები გულისხმობს, ერთი მხრივ, შიდაპარტიული დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას, კომუნისტების, პარტიის ყველა ორგანიზაციის ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებას და, მეორე მხრივ საერთო საკითხების გადაწყვეტისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ისინი პარტიის წევრის ავტორიტეტის ზრდას ემსახურებიან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა მის განსახილველად წარდგენილი დოკუმენტები და გადაწყვიტა გამოქვეყნდეს ისინი განსახილველად პარტიულ კრებებზე, კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე, რომლებიც წინ უძღვიან სკკპ XXVII ყრილობას, ხოლო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი, აგრეთვე კრებებზე შრომით კოლექტივებში, სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ახლა სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების პასუხსაგები ეტაპი იწყება.

ეს არის ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ხალხთან პარტიის დიდი და პირდაპირი მოთათბირების ეტაპი. საგნობრივი სჯა-ბაასი ჩვენს საქმეებზე, უზარმაზარი რეზერვების ამოქმედებაზე, რესურსების მომჭირნე გამოყენებაზე, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, მოწინავე გამოცდილების გავრცელებაზე უნდა გაიშალოს შრომით კოლექტივებში, იქ, სადაც უშუალოდ მუშაობენ ადამიანები, სადაც წყდება საბოლოო ანგარიშით ჩვენი გეგმების ბედი. სწორედ შრომითი კოლექტივი უნდა გახდეს ყრილობისწინა დოკუმენტების შესწავლა-განმარტებისათვის მთელი მუშაობის ცენტრი.

პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, სკკპ წესდების ცვლილებებისა და ძირითად მიმართულებათა პროექტების განხილვისათვის, პროპაგანდისა და განმარტებისათვის მუშაობას საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათი უნდა ჰქონდეს, იგი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი კონკრეტული მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტას. საჭიროა ყურადღების ცენტრში მოექცეს ისეთი საკითხები, როგორიცაა წარმოების ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება, ყველა უბანზე ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება და მუშაობის სტილის სრულყოფა. უნდა უზრუნველვყოთ ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვაში კომუნისტებისა და უპარტიოების აქტიური, დაინტერესებული მონაწილეობა, მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა საბჭოთა ადამიანმა კარგად იცოდეს პარტიის საპროგრამო მიზნები და ამოცანები, ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის აზრი, ღრმად ესმოდეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებითი დაჩქარების ობიექტური საჭიროება, რაც ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის მისი წარმატებული ბრძოლის საფუძველია.

საჭიროა, რომ არც ერთი სასარგებლო აზრი, სასარგებლო წინადადება არ დარჩეს უყურადღებოდ, უპასუხოდ, შესაბამის ღონისძიებათა განუხორციელებლად, ამასთან საქმე ეხება არა მარტო დიდი სახელმწიფო ჟღერადობის მოსაზრებებს, არამედ კონკრეტულ საკითხებსაც, შენიშვნებს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობის თაობაზე.

ამ ყრილობისწინა დროს დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს. ისინი მოწოდებული არიან გადაიქცნენ განხილვის საყოველთაო-სახალხო ტრიბუნად, თავი მოუყარონ მასების იდეებს, თვალსაზრისს, გამოცდილებას, ორიენტირად დაუსახონ ადამიანების შეგნებას, მათს ფსიქოლოგიას ახალ პირობებში მუშაობა, ახალი ამოცანების გადაწყვეტა. პრესის, რადიოს, ტელევიზიის ამოცანაა შექმნან მასებში მაღალი შრომითი და იდეურ-ზნეობრივი განწყობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია გეგმების შესრულება. მათ შეუძლიათ და კიდევაც უნდა იმუშაონ უფრო აქტიურად და მიზანდასახულად, ოპერატიულად და ქმედითად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაივლის.

განხილვა ხელს შეუწყობს ყრილობისათვის პარტიისა და მთელი ხალხის გამოცდილებით გამდიდრებული მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების შემუშავებას, კიდევ უფრო განავითარებს მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივასა და აქტიურობას 1985 წლის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, მეთორმეტე ხუთწლედის ენერგიული სტარტისა და სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ბრძოლაში.

კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური საიუბილეო სხდომის მონაწილეებს

მივესალმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა საპატიო წარმომადგენლებს, რომლებიც ნიუ-იორკში შეიკრიბნენ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის მიღების 25 წლისთავთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ საიუბილეო სხდომაზე.

საბჭოთა ხალხი უდიდეს კმაყოფილებას განიცდის იმის გამო, რომ ეს დეკლარაცია, რომელიც თავისებური საერთაშორისო ანტიკოლონიური მანიფესტი გახდა, 1960 წელს მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიამ სსრ კავშირის ინიციატივით.

მრავალი სახელმწიფოს კოლექტიური მეცადინეობით შემუშავებულმა დეკლარაციამ ხელი შეუწყო ყველა კონტინენტის თავისუფლებისმოყვარე ძალების შეკავშირებას, მათს დარაზმვას მტკიცე მოქმედებისათვის, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციის, ხალხების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების, მათი იმ უფლების უზრუნველყოფის მიზნით, რომ თავისუფლად, გარედან ჩაურევლად აშენონ თავიანთი მომავალი.

დროის მოკლე ისტორიულ მონაკვეთში დაემხო კოლონიური იმპერიები, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ოკეანიის ათობით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. დღევანდელობის რეალობაა საერთაშორისო ასპარეზზე ამ სახელმწიფოთა მზარდი როლი.

მაგრამ დეკლარაციაში დასახული მიზნები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მიღწეული. გაერთიანებული ერები ვერ ურიგდებიან იმას, რომ დაახლოებით ოცი კოლონიური და დამოკიდებული ტერიტორიის ხალხები ჯერ კიდევ მოკლებული არიან თავიანთ კანონიერ უფლებას — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებას. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სურთ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა და ამ ტერიტორიებს თავს ახვევენ სხვადასხვა ნეოკოლონიალისტურ სტატუსს, აქცევენ მათ თავიანთ სამხედრო-სტრატეგიულ საყრდენ პუნქტებად და პლაცდარმებად აგრესიისათვის. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია ანექსიონისტური მოქმედება წყნარი ოკეანის კუნძულების სამეურვეო ტერიტორიის მიმართ.

სამხრეთ აფრიკაში პრეტორიის რასისტული რეჟიმი თავისი დასავლელი მფარველების მხარდაჭერით ცდილობს გაამარადისოს კოლონიურ-რასისტული სისტემა. ფეხქვეშ თელავენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებსა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები ახორციელებენ აპარტეიდის დანაშაულებრივ პოლიტიკას, ხელს უშლიან ნამიბიის ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, სჩადიან აგრესიის აქტებს მეზობელი აფრიკული ქვეყნების წინააღმდეგ.

კოლონიალიზმის პოლიტიკა და მისი ყველა ფორმა და გამოვლინება, მათ შორის რასიზმი და აპარტეიდი, შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან და დეკოლონიზაციის შესახებ დეკლარაციასთან. მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანთა სინდისი ვერ ურიგდება იმას, რომ ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ არის კოლონიალიზმის კერები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი, რათა შეასრულოს დეკლარაცია სრული მოცულობით იმ მიზნით, რომ ყველა კოლონიურმა ხალხმა და სამეურვეო ტერიტორიამ შეიძინოს ნამდვილი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ღირსეული ადგილი დაიკავოს სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ეკონომიკის დარგში დეკოლონიზაციის პროცესის დაჩქარებას, სამართლიან და დემოკრატიულ საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხმა უნდა აღიმაღლოს იმის წინააღმდეგ, რომ ტრანსეროვნული მონოპოლიები ექსპლოატაციას უწევენ განვითარებად ქვეყნებს, ძარცვავენ მათ ბუნებრივ რესურსებს, ცდილობენ მოახვიონ ისინი ვალის მარყუჟით, მხარი უნდა დაუჭიროს მათ გამოსვლებს „კულტურული", „საინფორმაციო" და სხვა ფორმის ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელება გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული პროგრესზე საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების, გამანადგურებელი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, დაძაბულობის შენელების პოლიტიკისაკენ საერთაშორისო დაძაბულობის დაბრუნების საქმეში.

საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დეკლარაციის სრული და განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლაში, აქტიურად შეუწყობს ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის საბოლოო ლიკვიდაციის დარგში.

მ. გორბაჩოვი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მ. ს. გორბაჩოვის მეგობრული ვიზიტის შესახებ

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი მეგობრულ ვიზიტად ეწვევა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას 1985 წლის ოქტომბრის დამლევს.

სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა

აქტიურად შეუწყოს ხელი რესპუბლიკაში ანტიალკოჰოლური მოძრაობის ფართო განვითარებას, მისცეს მას ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი, დაამკვიდროს ცხოვრების ფხიზელი წესი — ასეთია სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების ამოცანა. მისი დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა 17 ოქტომბერს პროფკავშირთა კულტურის სასახლეში.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ი. ალავიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივნები ზ. ა. კვაჭაძე, ი. გ. ხაზარაძე, ლ. ს. ხარბედია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი ვ. გ. პოზდნიაკოვი, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები; სამინისტროებისა და უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ნ. ჯიბლაძემ.

კონფერენციაზე გამოვიდნენ საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სიფხიზლისათვის ბრძოლის საკავშირო საზოგადოების წევრი გ. ა. მეტონიძე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ა. ასლანიკაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ს. ხარბედია, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ლ. ვ. ოტიაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. შადური, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ლ. ი. ოქრუაშვილი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. დ. ზურაბაშვილი, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ჯ. ფილია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგე, პროფესორი ნ. გ. ჯუსოითი, ხულვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალის კოლმეურნეობის მეჩაიე, გმირი დედა გ. ა. დუმბაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. გ. გიორგაძე, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის რუსთავის სარემონტო-მექანიკური ქარხნის ამწყობი ზეინკალი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ი. ნ. მაცკო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ი. ა. მენაღარიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რ. ს. მიმინოშვილი.

სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების დამფუძნებელმა კონფერენციამ აირჩია მისი საბჭო და სარევიზიო კომისია.

* * *

გაიმართა სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოს გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ნ. ჯიბლაძე, პირველ მოადგილედ — თ. ი. ხელაშვილი, მოადგილედ — გ. მ. კალანტაროვი, პასუხისმგებელ მდივნად — გ. გ. ქადაგიძე.

(საქინფორმი).

ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე

რესპუბლიკის მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში დამთავრდა ახალი სასწავლო წლის პირველი მეცადინეობანი. მათმა თემამ — „მთელი შესაძლებლობანი და რეზერვები მოვახმაროთ 1985 წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულ შეხვედრას" — განსაზღვრა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ყველა ფორმის პროპაგანდისტთა და მსმენელთა საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასის შინაარსი.

მეცადინეობის ორგანიზებულ, მაღალ იდეურ დონეზე მოწყობას დიდად შეუწყო ხელი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკების უშუალო მონაწილეობამ. პროპაგანდისტებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის, სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული შეხვედრის მასალებით, სხვა ყრილობისწინა დოკუმენტებით, — მსმენელებს გააცნეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლებიც პარტიამ დასახა. თითოეული საწარმოსა და მეურნეობის, ყოველი ორგანიზაციისა და დაწესებულების სპეციფიკის, თითოეული მშრომელი კოლექტივის პრობლემების გათვალისწინებით მეცადინეობის მონაწილენი ბჭობდნენ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ამაღლების, კომუნისტთა, ყველა მშრომელის ინიციატივისა და აქტიურობის გაძლიერების გზების შესახებ.

პირველ მეცადინეობათა თემის შესაბამისად, დიალოგის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო ადამიანთა აღმშენებლობითი ძალის, საქმისადმი ყოველი მუშაკის შემოქმედებითი დამოკიდებულების განვითარების საკითხები, შემდგომი წინსვლის ტემპის გაძლიერების ამოცანები. საგულისხმოა, რომ ყველა ეს საკითხი და ამოცანა კონკრეტულად აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართული მორიგი პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში.

გააანალიზეს რა საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, პროპაგანდისტებმა და მსმენელებმა ამხილეს ნაკლოვანებანი, განსაზღვრეს კონკრეტული ღონისძიებანი, თუ როგორ უზრუნველყონ დამამთავრებელი წლისა და საერთოდ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების უცილობელი შესრულება, მეთორმეტე ხუთწლედის წარმატებული სტარტი. ბევრ პოლიტსკოლაში და სემინარზე, კომუნისტური შრომის სკოლებში მეცადინეობის დროს იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რათა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

ახალ სასწავლო წელს თავიანთ საშეფო სკოლებში და სემინარებზე პირველ მეცადინეობებს უძღვებოდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. დ. მგელაძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი იუგოსლავიის სკუპშჩინის დელეგაციასთან

16 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის დელეგაცია იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის თავმჯდომარის, იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ილიაზ კურტეშის მეთაურობით, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გამოითქვა დიდი კმაყოფილება ყველა დარგში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ფართო და ნაყოფიერი თანამშრომლობის გამო. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 1985 წელს გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და იუგოსლავიის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების შეხვედრებს, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და მორიგებების მტკიცე საფუძველზე მეგობრობის, ნდობისა და ურთიერთგაგების შემდგომი განმტკიცება.

ა. ა. გრომიკომ იუგოსლავ პარლამენტარებს გააცნო, თუ როგორ სრულდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ფართო მასშტაბის გეგმები, როგორ მიმდინარეობს მზადება საბჭოთა კავშირში სკკპ XXVII ყრილობისათვის.

საერთაშორისო ვითარების განხილვის დროს ორივე მხარემ გამოთქვა შეშფოთება კვლავ არსებული საშიში დაძაბულობის გამო, აგრეთვე რწმენა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გააქტიურდნენ მთელი ომის მოწინააღმდეგე ძალები, კიდევ უფრო მჭიდროდ იმოქმედონ გამალებული შეიარაღების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებისათვის.

საბჭოთა მხარემ ყურადღება მიაპყრო ჩვენი ქვეყნის ამასწინანდელ დიდ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მორიგდნენ ორივე მხარისათვის დამკვრელური კოსმოსური შეიარაღების სრული აკრძალვის შესახებ და 50 პროცენტით შეამცირონ ბირთვული შეიარაღება, რომელიც ერთმანეთის ტერიტორიას აღწევს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ისევე, როგორც წინათ, საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს შენელდეს სამხედრო კონფრონტაცია და გაჯანსაღდეს პოლიტიკური კლიმატი ევროპასა და მთელ მსოფლიოში, გადაჭრით უჭერს მხარს წინადადებებს — შეიქმნას უბირთვო ზონები მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, აგრეთვე ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონები.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტარებმა დიდად შეაფასეს ახალი საბჭოთა ინიციატივები, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იუგოსლავია მტკიცედ ერთგულობს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს.

ითქვა, რომ მზარდ როლს ასრულებს მიუმხრობლობის მოძრაობა მთელი კაცობრიობისთვის ისეთი საარსებო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც არის საყოველთაო განიარაღება და ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის დამყარება.

ორივე მხარის აზრით, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა მომავალი ჟენევის შეხვედრა, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს, შეიძლება გახდეს არა მარტო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, არამედ საერთაშორისო ცხოვრებაშიც მთლიანად. მისი წარმატება დამოკიდებული იქნება პასუხისმგებლობის იმ გრძნობაზე, რომლითაც დაიწყებს მოლაპარაკებას ორივე პარტნიორი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ყველაფერს იღონებს, რათა შეხვედრას მოჰყვეს დადებითი შედეგები, რომლებსაც ხალხები ესწრაფვიან.

საუბრის მონაწილეებმა აღნიშნეს, თუ რა პასუხსაგები როლი ეკისრებათ ყველა ქვეყნის პარლამენტარებს სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებისათვის, ევროპის კონტინენტზე ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, დაძაბულობის კერების ლიკვიდაციის, მოლაპარაკების გზით სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

დასასრულ გამოითქვა რწმენა, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი სსრ კავშირში, ჩვენს ქვეყანაში გამართული საუბრები სასარგებლო წვლილს შეიტანს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეში. ამავე დროს აღინიშნა, რომ ორივე მხარე ცდილობს კვლავაც განავითაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის მზარდი ურთიერთობა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებისა და მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის. (საქდესი).

შეხვედრა კრემლში

16 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის კოსმოსური სივრცის კვლევის საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარის ბ. ნელსონის მეთაურობით. კონგრესმენებთან ერთად იყვნენ აგრეთვე ამერიკელი ასტრონავტები ტ. სტაფორდი და დ. სლეიტონი, რომლებიც მონაწილეობდნენ 1975 წელს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კოსმოსურ ფრენაში „სოიუზ-აპოლონ" პროგრამით.

საუბარი ძირითადად შეეხებოდა კოსმოსურ სივრცეში მშვიდობიანი თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტს.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ კოსმოსი უკვე დასახლებული გახდა. საბჭოთა კოსმონავტებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანს შეუძლია იყოს კოსმოსში მრავალი თვის განმავლობაში, იმუშაოს იქ, აითვისოს იგი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენებისა და კვლევის დარგში შესაძლებელია, თუ პარალელურად არ განხორციელდება კოსმოსის მილიტარიზაციის პროგრამა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ ხორციელდებოდეს „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამა და ამავე დროს მიმდინარეობდეს ერთობლივი მშვიდობიანი ექსპერიმენტები. ასეთ პირობებში თანამშრომლობა დედამიწისირგვლივი სივრცის მილიტარიზაციის გეგმების შენიღბვა იქნებოდა.

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იღვწის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის არა მარტო დედამიწაზე, არამედ მის გარეთაც. ამას მოწმობს კონკრეტული საბჭოთა წინადადებები, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებშიც. სსრ კავშირს არაერთხელ წამოუყენებია ისინი გენერალური ასამბლეის სესიებზე. ამჟამად მე-40 სესიაზე განიხილება დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის ინიციატივით შეტანილი საკითხი „არამილიტარიზაციის პირობებში კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ". სსრ კავშირი აგრეთვე მხარს უჭერს მსოფლიო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნას, რომლის ფარგლებშიც განხორციელდებოდა თანამშრომლობა კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უდიდესი უმრავლესობა ემხრობა ამ წინადადებებს, მაგრამ მათ შორის არ ისმის ამერიკის შეერთებული შტატების ხმა.

ა. ა. გრომიკომ შეაფასა მსოფლიოში ახლანდელი დაძაბულობის მიზეზები და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამერიკის ადმინისტრაციის პრაქტიკული მოქმედების საშიშ მიმართულებას. მისი პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნება იმისათვის, რომ გაამართლოს ახალ-ახალი სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნა და კოსმოსის მილიტარიზაცია. ამის შედეგად საერთაშორისო განვითარებამ ისეთ მიჯნას მიაღწია, როცა საჭიროა უაღრესად პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მიღება, როცა აუცილებელია გამალებული შეიარაღების ალაგმვა, ომისაკენ დაქანების შეჩერება. სწორედ ამ კეთილშობილური მისწრაფებებით ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირი თავის მოქმედებაში საერთაშორისო ასპარეზზე.

მშვიდობის საქმისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და პრეზიდენტ რ. რეიგანის მომავალ შეხვედრას, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს ჟენევაში. საბჭოთა კავშირი უაღრესად სერიოზულად ემზადება ამ შეხვედრისათვის და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მისმა შედეგებმა იმედი გაუმართლოს ხალხებს. რა თქმა უნდა, შეხვედრის შედეგები დამოკიდებული იქნება არა მარტო საბჭოთა, არამედ ამერიკის მხარეზეც.

გულახდილი აზრთა გაზიარების დროს ამერიკელმა კონგრესმენებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების გაუმჯობესებას და კოსმოსში მშვიდობიან თანამშრომლობას. მათ იმედი გამოთქვეს, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა შეხვედრა გააუმჯობესებს ორი ქვეყნის ურთიერთობას და საერთოდ გააჯანსაღებს ვითარებას მსოფლიოში.

შეხვედრის ამერიკელმა მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ა. ა. გრომიკოს საუბრისა და მათდამი ყურადღებისათვის. (საქდესი).

ვაჭრობას — ორგანიზებულობა

ათობით დასახელების ნაწარმი შეადგენს ზენორმატიულ ნარჩენებს. რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების ბაზებსა და საწყობებში 300 მილიონ მანეთისაზე მეტი ასეთი ნარჩენი დაგროვდა. ეს არის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო და ტრიკოტაჟის პროდუქცია, საოჯახო საქონელი, სუვენირები. მთელ ამ ნაწარმს თავისი მყიდველი გამოუჩნდებოდა, მაგრამ ცუდი ხარისხის გამო იგი მკვდარ ტვირთად დევს საწყობებში.

ვაჭრობა არარეგულარულად ასრულებს საქონელბრუნვის გეგმას. იქმნება პარადოქსული მდგომარეობა: საქონელი არის, არის მოთხოვნაც, ვაჭრობა კი შეფერხებებით მიდის.

ამ პრობლემების, აგრეთვე თბილისობისა და დიდი ოქტომბრის 68 წლისთავის დღეებში სადღესასწაულო ვაჭრობისათვის მზადყოფნის საკითხების ანალიზს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული რესპუბლიკური თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ვაჭრობის, მსუბუქი, ადგილობრივი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების, ცეკავშირის ხელმძღვანელები. თათბირზე შეაჯამეს მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების შედეგები.

აღინიშნა, კერძოდ, რომ სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვები საწარმოების მიერ ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის მიწოდების გეგმების დარღვევამ გამოიწვია ის, რომ ბაზარი გადაიტვირთა ერთი სახეობის ნაწარმით, მაშინ როცა სხვა სახეობის ნაწარმის ნაკლებობა იგრძნობა. მაგალითად, რესპუბლიკის მაღაზიებში „ჩაწოლილია" ლოგინის თეთრეული, ხოლო მამაკაცის პერანგების, საბავშვო ბამბის ტანსაცმლის ყიდვა არც ისე იოლი საქმეა. მარტო მამაკაცის პერანგებზე მოთხოვნა ამჟამად რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენს, ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათი" კი, რომელიც მათ კერვაზეა დასპეციალებული, ზეწრებისა და საბნის შალითების გამოშვებას ამჯობინებს. რა თქმა უნდა, ეს უფრო იოლია...

მაგრამ მაშინაც კი, როცა საჭირო ნივთი გამოტანილია გასაყიდად, სიძნელეს ქმნის ზომები. ჩვეულებრივ ვაჭრობისათვის გაგზავნილ ტანსაცმლის პარტიებში ნაწარმი ერთი ზომისაა — დიდი ან პატარა. ამის მიზეზი კვლავ და კვლავ ის არის, რომ სამრეწველო საწარმოებს უადვილდებათ ერთი და იგივე ზომის ნაწარმის დიდ-დიდ პარტიებად გამოშვება. მაგრამ თუ ეს ხელს აძლევს საწარმოებს, სამაგიეროდ სულაც არ აძლევს ხელს მყიდველებს, რომლებისთვისაც, საბოლოო ანგარიშით, მუშაობენ იგივე მკერავები.

თათბირზე ყურადღება მიაპყრეს იმასაც, რომ ვაჭრობის მუშაკები გულგრილად ეკიდებიან მიღებული საქონლის ხარისხის საკითხს, საიმედო წინაღობას არ უქმნიან ხარვეზებიან ნაწარმს, იჩენენ დაუშვებელ „ხათრიანობას". არადა, ყოველი რიგითი ნოქარი ამავე დროს წუნმდებელიც არის. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს. სწორედ ვაჭრობის მუშაკები უნდა უკარნახებდნენ მრეწველობას, რა ნაწარმი სჭირდება დღეს მომხმარებელს.

საჭიროა სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვები საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების შეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობა, იმ მეცადინეობის გაერთიანება, რომლის მიზანია საერთო ამოცანის გადაწყვეტა — საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. საქმისადმი ასეთი მიდგომა, რომელიც კომერციულ გაანგარიშებას შემოქმედებითს ინიციატივას უხამებს, მოსთხოვა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმმა.

თათბირის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გახდა სადღესასწაულო ვაჭრობის ორგანიზაცია. რესპუბლიკაში არის აუცილებელი სასურსათო რესურსები მათი რიტმული გაყიდვის მოგვარებისათვის. საჭიროა მხოლოდ ვაჭრობის ჯეროვნად ორგანიზება, რის დროსაც გამოყენებული უნდა იყოს ბოსტნეულის ბაზრობათა მოწყობის გამოცდილება. პოპულარობა რომ მოიხვეჭეს რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის. უახლოეს დღეებში თბილისში გაიხსნება 15 ახალი საცალო ვაჭრობის ობიექტი და 8 საზოგადოებრივი კვების ობიექტი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჩითანავამ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვ. მელქაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ა. ი. კავსაძე. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: ისმენენ კომუნისტის ანგარიშს [illegible]

გულწრფელობის საზომით

125-მა კომუნისტმა მოიყარა თავი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე, რომელმაც დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად განიხილა ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის, ყოფილი მეფოლადის ხელშემწყობის, ახალგაზრდა კომუნისტის კოტე ნადარეიშვილის ანგარიში და დაამტკიცა მისი პარტიული დახასიათება.

კრებას საამქროს პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. თხელიძე და სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, რომლებიც აქ სპეციალურად ჩამოვიდნენ გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ღელავდა კომუნისტი, რადგან ქარხნის კოლექტივში მტკიცედ დამკვიდრდა ამგვარი კრებების ჩატარების დროს მკაცრი ობიექტურობისა და მომთხოვნელობის ატმოსფერო, რამაც კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების გარდა, უპარტიო მასების დიდი დაინტერესება, კომუნისტთა მიმართ ყურადღებიანი დამოკიდებულება გამოიწვია და მეტი გასაქანი მისცა თვითკრიტიკას.

კ. ნადარეიშვილის მღელვარებას სხვა ფაქტორიც ედო საფუძვლად — კრებას მისი „ნამოწაფრებიც" ესწრებოდნენ, ყველა, ვინც საამქროში საუკეთესოდ აღიარებული დამრიგებლისაგან პროფესიაც ისწავლა და კოლექტივის სახელის ღირსებისათვის ბრძოლაც.

არის კი თოთხმეტწლიანი შრომითი ბიოგრაფია უხინჯო, ყველაფერი გააკეთა საამქროს წინსვლისათვის, ყოველთვის იჩენდა ისეთ უნარს, რომ გაემართლებინა თანამოსაქმეთა ნდობა? ახალგაზრდა კომუნისტმა პირუთვნელად გასცა პასუხი ყველა ამ კითხვას.

...აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში პედაგოგების ოჯახში გაზრდილს ბავშვობიდანვე მოეძალა ფიქრი მეტალურგობაზე. დაამთავრა თუ არა სკოლა, იმ ხანად თავიანთ ოჯახთან დაახლოებულ კაცს, ცნობილ ქართველ მეტალურგს, სოციალისტური შრომის გმირს ამირან ფანცულაიას გაანდო განზრახვა. განთქმული მეფოლადის რჩევით კოტემ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ხოლო 1971 წელს ინსტიტუტიდან მიღებული საგზურით მეფოლადის ხელშემწყობად დაიწყო მუშაობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში.

საწარმოში ინჟინრის დიპლომით მოსულმა განვლო გზა მეფოლადის ხელშემწყობიდან ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსამდე, იყო ოსტატი, ცვლის უფროსი. ამ პერიოდში მოიხადა მხედრული ვალიც. 1979 წელს გახდა სკკპ წევრი. საამქროში ყოფნისას შეიძინა პარტიული მუშაობის გამოცდილება, ასრულებდა პარტჯგუფორგის, პროპაგანდისტის მოვალეობას, 1981 წელს კი საამქროს პარტბიუროს მდივნად აირჩიეს. აი, სწორედ მაშინ, საწარმოში შექმნილი ძნელბედობის დროს არ ეყო ორგანიზატორული ნიჭი და უნარი, ვერ შესძლო კომუნისტთა დარაზმვა საამქროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ერთი წლის შემდეგ პარტბიუროს მდივნად აღარ აირჩიეს. მაშინ № 1 ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და სამეურნეო მუშაკის პოზიციიდან დაინახა რა დაშვებული შეცდომები, სცადა აქტიურად ჩაბმულიყო საამქროს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, უფრო ახლოს ყოფილიყო ადამიანებთან, ღრმად და საფუძვლიანად ჩასწვდომოდა საწარმოო პრობლემებს. ამ პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა მეცნიერული ათეიზმის შემსწავლელ პოლიტსკოლას, ასრულებდა დამრიგებლის მოვალეობასაც. მისი პირველი მოსწავლე თავად მისი ყოფილი ოსტატის უშანგი მარუაშვილის ვაჟი — პეტრე იყო. ენდო ოსტატი ახალბედას და პეტრემაც გაუმართლა ნდობა, მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ შემდეგში ცნობილი მეფოლადეები ო. კორინთელი, ზ. ჩეკურიშვილი და სხვები.

ახლა საამქრო და მთელი საწარმო აღმავლობის გზაზეა. მოხდა სერიოზული ტექნიკური ძვრებიც, რამაც ბევრად გააუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, უკეთესი გახდა საამქროს მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები. მომავალ ხუთწლედებში მარტენის საამქროს გენერალური რეკონსტრუქცია თითქმის მთლიანად გამოათავისუფლებს მეფოლადეს მძიმე ფიზიკური შრომისაგან და უზრუნველყოფს პროდუქციის უმაღლეს ხარისხს. მოსალოდნელი ტექნიკური სიახლე და მთლიანად ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანები ფართო პროგრამას უსახავს თითოეულ მუშასა და ინჟინერს, კომუნისტსა თუ უპარტიოს.

კ. ნადარეიშვილმა შეკრებილთ თავის პიროვნულ ნაკლზეც მოახსენა და აღუთქვა მათ, რომ ყოველდღიური კონტროლით შეძლებს ნაკლის დაძლევასა და გამოსწორებას.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა კ. ნადარეიშვილის შესახებ ყველაფერი — ავიცა და კარგიც — გულახდილად თქვეს. ცვლის უფროსად მუშაობის პერიოდში ახალგაზრდა კომუნისტის ინიციატივით საამქროში შეიქმნა საიჯარო ბრიგადა, რომლის წევრები ახლა ერთად იზიარებენ წარმატებით მოტანილ სიხარულს. ოსტატად რომ მუშაობდა, კოტემ ზედმიწევნით ზუსტად იცოდა ბრიგადის წევრთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები, გვერდში ედგა მათ მწუხარებასა თუ ლხინში.

მ. ჯამბრაილოვამ კომუნისტი დაახასიათა როგორც პრინციპული, მომთხოვნი, რომელიც განსაკუთრებით შეურიგებელია დისციპლინის დამრღვევთა და წუნისმკეთებელთა მიმართ.

საამქროს უფროსმა თ. შათირიშვილმა კი თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ კ. ნადარეიშვილი სისტემატურად ზრუნავს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ცოდნის დონის ასამაღლებლად, მისი საოჯახო ბიბლიოთეკა მუდამ მდიდრდება მეტალურგიის დარგის ახალი ტექნიკური გამოცემებით, კომუნისტს აქვს საუკეთესო ოჯახი, ჰყავს ორი შვილი, მეუღლე საწარმოს მუშაკია.

დადებითთან ერთად ნაკლზეც მიუთითეს — თავშეუკავებლობაზე და უხეშობაზე, რასაც ერთხელ არასასურველი ინციდენტიც კი მოჰყვა. მას არაკოლეგიალურობაც ახასიათებს. თანაც სწორედ მაშინ, როდესაც საკითხის გადაწყვეტა ვიწრო წრისა კი არა, მთელი კოლექტივის აზრს მოითხოვს.

ამ თვისებების გამოსწორება პირად ავტორიტეტსაც აუმაღლებს და ჯანსაღ მორალურ ატმოსფეროსაც შექმნის იმ კოლექტივში, რომელსაც ახლა თავკაცობს. — ასეთი აზრი გამოითქვა კ. ნადარეიშვილის მისამართით, რომელმაც მიიღო კრიტიკა.

კრების დასასრულს სიტყვა ითხოვა სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ გ. დორონინმა.

— თქვენს რესპუბლიკაში ამგვარი კრებების ჩატარების შესახებ ბევრი გვსმენოდა, ნანახმა კი აშკარად დაგვარწმუნა, თუ რას ქვია ჭეშმარიტი კომუნისტური გულწრფელობა და პირუთვნელობა, კოლეგიალობა და ობიექტურობა. ასეთი კრებები საშუალებას მისცემს პარტიულ ორგანიზაციებს თვითკრიტიკულად გააანალიზონ მიღწეული და აქტიურად დარაზმონ კომუნისტები სამომავლო ამოცანების შესასრულებლად. მეტალურგიულ ქარხანაში მიღებულ გამოცდილებას ჩვენ სულ მალე პრაქტიკულად განვაზოგადებთ.

ლ. მარტაშვილი.

ამიერკავკასიის მეფრინველეობის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტული მეურნეობის მშრომელებმა ცხრა თვეში შეასრულეს სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიწად-ნახევრის გეგმა. დასახული გრაფიკის გასწრებით წარმოებს აგრეთვე ხორცის მიყიდვაც.

მეურნეობაში შექმნილია ნორმატული ექსპერიმენტებისა და სანაშენე მუშაობის ყოველგვარი პირობა. თითოეულ მოქცეულზე აქ წელიწადში 220 კვერცხს იღებენ გეგმით გათვალისწინებული 217 კვერცხის ნაცვლად.

სურათზე: ექსპერიმენტული მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მეფრინველე მერი ქავთარაძე.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რუსეთის პირველი რევოლუციის 80 წლისთავისათვის

სოციალისტური რევოლუციის „გენერალური რეპეტიცია"

1905-1907 წლების რევოლუციის მდიდარი ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების სრულად გაშუქება საგაზეთო წერილში შეუძლებელია. მკითხველი აქ გაეცნობა მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაზიარებულ დასკვნებსა და განზოგადებებს, რომლებიც უმთავრესად ქართულ სინამდვილეს ეხება.

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში დიდხანს არ იყო საკმარისად ნაჩვენები იმის მიზეზები, თუ რატომ მიიღო კლასობრივმა ბრძოლამ მწვავე ხასიათი და ამის შესაბამისად დიდი გაქანება რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში. შეუსწავლელი იყო გლეხობის პოლიტიკური უუფლებობის საკითხი, ამიტომ დაუსაბუთებელი ჩანდა გლეხობის მოთხოვნა სხვა წოდებებთან გათანასწორების შესახებ. ასევე შეუსწავლელი იყო რევოლუციური ბრძოლის ფორმები და მეთოდები, რის გამოც უყურადღებოდ იყო დარჩენილი საქართველოში რევოლუციის განვითარების კანონზომიერი ხასიათი და ა. შ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნიდან იყო აღიარებული საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განხორციელების ფაქტი, მაგრამ შეუსწავლელი რჩებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა ეს კავშირი, რით გამოიხატა იგი და რა როლი შეასრულა რევოლუციის განვითარებაში, აგრეთვე არ იყო საფუძვლიანად წარმოჩენილი პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა გლეხობის გადაბირებისათვის და ა. შ. ერთი სიტყვით, შეუსწავლელი იყო საქართველოში რევოლუციური ბრძოლის თავისებურებანი, ნაკლებად იყო გაშუქებული ამ თავისებურებათა განმსაზღვრელი „სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების" ის „განსაკუთრებული პირობები", რომლებზედაც ჯერ კიდევ 1905 წელს მიუთითებდნენ ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკური პარტიის III ყრილობა.

1905-1907 წლების რევოლუცია დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში, არამედ საერთაშორისო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაშიც. იგი იყო მასების პოლიტიკური აღზრდის დიდი და სერიოზული სკოლა. მან აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის გამოაღვიძა მილიონობით ჩაგრული ადამიანი მთელ მსოფლიოში.

1905-1907 წლების რევოლუცია მოამზადა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ, კერძოდ, მებატონეურმა საგლეხო რეფორმამ, რომელიც იყო „გლეხების ყოვლად უსინდისო ძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას" (ვ. ი. ლენინი). საგლეხო რეფორმა მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკეს სამოციანელებმა, მათ შორის, ქართველმა „თერგდალეულებმაც". „თუ მთავრობამ... ვისიმე მდგომარეობა გააუმჯობესა, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ყოველ შემთხვევაში არა გლეხობისა, არამედ უფრო თავადაზნაურობისა... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჭრნდათ მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება". სწორედ ამიტომ ყველაზე ადრე გაჩაღდა და ყველაზე ადრე მიიღო მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი აგრარულ-გლეხურმა მოძრაობამ იმ რეგიონებში, სადაც გლეხობა ყველაზე ნაკლებად იყო მიწით უზრუნველყოფილი.

ბატონყმობის გაუქმებამ, სოფლად მიწის ფონდის არათანაბარმა გადანაწილებამ მნიშვნელოვანი მუშახელი გამოანთავისუფლა სოფლის მეურნეობიდან, მას მიემატა სოციალური დიფერენციაციის შედეგად გაღატაკებული გლეხობა, მათი დიდი ნაწილი სისტემატურად ავსებდა პროლეტართა რიგებს ქალაქებში.

სოციალური დიფერენციაციის ღრმად წასულმა პროცესმა და გლეხობის პოლიტიკურმა უუფლებობამ სოფლადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით დააგროვა პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტები, კიდევ უფრო გამწვავდა აგრარული და სოციალური ურთიერთობა, განსაკუთრებით საქართველოში. XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება, ერთი მხრივ, თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის და, მეორე მხრივ, კულაკობასა და უღარიბეს გლეხობას შორის, უმაგალითოდ ზრდიდა სოფლად რევოლუციური აფეთქების ელემენტებს.

საგლეხო რეფორმის შემდეგ საქარხნო-საფაბრიკო წარმოების მეტ-ნაკლებ განვითარებასთან ერთად ისახებოდა და ვითარდებოდა ახალი საზოგადოებრივი ძალა — სამრეწველო პროლეტარიატი. მიუხედავად ამისა, იმპერიის განაპირა მხარეები, კერძოდ საქართველო, სამრეწველო განვითარების დონით დიდად ჩამორჩებოდა თვისთავად ჩამორჩენილ მთლიანად მეფის რუსეთსაც კი.

მრეწველობის განვითარების დაბალი დონე და მხარის კოლონიური მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრების მატერიალურ პირობებს რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიკურ მდგომარეობასთან შედარებით.

ამრიგად, საქართველოში ხალხის დუხჭირი ეკონომიკური პირობები, ეროვნული ჩაგვრა და პოლიტიკური უუფლებობა უკიდურესად ამწვავებდა წინააღმდეგობას შრომასა და კაპიტალს შორის. დღითი დღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკური მოწიფულობა და ორგანიზაციული დარაზმულობა. იგი მტკიცედ დგებოდა რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლთა რიგებში.

ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, როგორც კანონზომიერი მოვლენა, საქართველოში უშუალოდ რუსეთის გავლენით წარმოიშობოდა ხოლმე. მაგრამ რუსეთსა და საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა შორის მსგავსება და განსხვავება პირდაპირ პროპორციული იყო განვითარების იმ ტემპისა და დონისა, რომლითაც ხასიათდებოდა ამ ორი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური დაახლოება XIX საუკუნის დამდეგიდან.

XIX საუკუნის 80-იან წლებში განხორციელებულმა „საგანმანათლებლო" პოლიტიკამ კიდევ უფრო გააძლიერა ჩაგრულ ხალხთა, მათ შორის ქართველთა ეროვნული კონსოლიდაცია. მიუხედავად ამისა, ცარიზმის მიერ ქართული ენისა და კულტურის დევნა-შევიწროებამ გავლენა ვერ მოახდინა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის დამოკიდებულებაზე რუსული პროგრესული კულტურისადმი. რუსული კულტურის მიმართ ქართველი პროგრესული ინტელიგენცია განუხრელად ინარჩუნებდა ჯანსაღ თვალსაზრისს, და ეს იმიტომ, რომ ქართველი ხალხის პატრიოტიზმი, მისი მოწინავე ინტელიგენციის ეროვნული პროგრამა დიადი საკაცობრიო იდეალებით გამოირჩეოდა ყოველთვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხი და მისი მოწინავე წარმომადგენლები მომავლისათვის ზრუნვას მტკიცედ უკავშირებდნენ რუსი ხალხის პროგრესული ძალების ბრძოლას (ი. გოგებაშვილი, ი. ჭაბადარი, შ. დავითაშვილი...). ამ საკითხში სრული ერთიანობა სუფევდა ქართველი პროგრესული ინტელიგენციის ყველა თაობას შორის.

ამრიგად, XIX საუკუნის მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ შექმნა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯანსაღი იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად ედო დიადი საკაცობრიო იდეალები. ამ გარემოებამ შემდეგში ფრიად გაადვილა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცედ დაკავშირება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო-სახალხო რევოლუციურ მოძრაობასთან, რომლის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენდა მუშათა კლასი. ამისათვის ხელი სრულიად არ შეუშლია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან „თერგდალეულთა" გადახრას რევოლუციურ-დემოკრატიზმიდან ლიბერალურ-დემოკრატიზმისაკენ; ეს განაპირობა როგორც კლასობრივმა, ისე ეროვნულმა მომენტებმა... ამ დროიდან დამთავრდა „თერგდალეულობა", როგორც სოციალურ-პოლიტიკური და იდეური მიმდინარეობა საქართველოში. მისი პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები შეიწოვა პროლეტარულ-რევოლუციურმა მოძრაობამ და მარქსისტულმა იდეოლოგიამ. ქართველი ერის კლასობრივი და ეროვნული განთავისუფლების დროშა XX საუკუნის დამდეგს ხელში აიღო პროლეტარიატმა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა ახალი კლასი — პროლეტარიატი, საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას, გავრცელდა მარქსიზმი და შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. საქართველოს მუშათა კლასი თანდათანობით სათავეში მოექცა მთელი მშრომელი და დემოკრატიული ელემენტების ბრძოლას ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. ეს საქვეყნოდ განაცხადა XX საუკუნის გარიჟრაჟზე ლენინურმა გაზეთმა „ბრძოლამ".

1905-1907 წლების რევოლუცია წარმოშვა იმ რევოლუციურმა სიტუაციამ, რომელიც მოამწიფა ისეთმა ფაქტორებმა, როგორიც იყო: მუშათა კლასის მძიმე მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა, მრავალმილიონიანი უმიწაწყლო გლეხობის ტანჯვა ყოფილი მებატონისა და კულაკის მიერ, არარუს ხალხთა ეროვნული ჩაგვრა რუსეთის გაბატონებული კლასების მიერ, 1900-1903 წლების ეკონომიკური კრიზისი, რუსეთ-იაპონიის ფრონტზე მეფის ჯარების დამარცხება და ბურჟუაზიული პარტიების შექმნამდე მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის პოლიტიკური კავშირის შექმნა-განვითარებაში. ყოველივე ამან განაპირობა XX საუკუნის დამდეგს საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრის რუსეთში გადმოსვლა. რუსეთი გახდა ლენინიზმის სამშობლო, ხოლო რუსეთის კომუნისტების ბელადი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

1905-1907 წლების რევოლუციის ხელმძღვანელი და მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო პროლეტარიატი, რომელმაც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით შემოიკრიბა მრავალმილიონიანი მშრომელი გლეხობა, საფუძვლიანად შეარყია თვითმპყრობელობა და სერიოზული დარტყმა მიაყენა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას რუსეთში — როგორც ცენტრში, ისე იმპერიის განაპირა მხარეებში.

1905-1907 წლების რევოლუციის მდიდარი გამოცდილებით შეიარაღებულმა რუსეთის მუშათა კლასმა შედარებით ადვილად დაამხო თვითმპყრობელობა 1917 წლის თებერვალში და დაიპყრო ძალაუფლება 1917 წლის ოქტომბერში. რუსეთი გახდა მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა". ესოდენ დიდი გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა 1905-1907 წლების „გენერალური რეპეტიციის" გარეშე (ვ. ი. ლენინი).

1905 წლის 9 იანვარს დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, სახალხო რევოლუცია რუსეთში. 9 იანვრის ამბებმა ფართო გამოხმაურება პოვა მთელ მსოფლიოში. ყველგან იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები და საპროტესტო დემონსტრაციები. ინგლისში საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადეს საფეიქრო და სამთამადნო მრეწველობის მუშებმა, დოკერებმა და სხვ. საფრანგეთში საპროტესტო გაფიცვაში 140 ათასი მუშა მონაწილეობდა. საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლამ, რუსეთის რევოლუციის გავლენით, მძლავრი რევოლუციური გაქანება მიიღო გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში, ვენაში. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შესახებ ცნობის მიღებისთანავე შეწყვიტეს კამათი და განაცხადეს, „ჩვენი ადგილი ქუჩაშია". ვენაში დაიწყო დემონსტრაციები, პრაღა ბარიკადებით დაიფარა. საფრანგეთიდან პეტერბურგის მუშებმა სოლიდარობის დეპეშა მიიღეს, სადაც ვკითხულობთ: „რევოლუციური ქალაქის — პარიზის მუშები თქვენთან არიან... ჩვენი იმედი იქონიეთ, ჩვენი დახმარება თქვენდამი უზრუნველყოფილია". მიიღეს აგრეთვე ინგლისიდან მუშათა საპროტესტო მიტინგის რეზოლუცია. ბრიუსელში ერთ-ერთ ხალხმრავალ მიტინგზე ითქვა: „მთელი თანამედროვე სოციალური წყობილება შერყეული იქნება რუსეთის რევოლუციის მიერ ისე, როგორც XVIII საუკუნის სოციალური წყობილება იქნა შერყეული საფრანგეთის რევოლუციის მიერ. ის, რაც ახლა რუსეთში ხდება — არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტართა საქმეაო".

რუსეთში დღითიდღე ძლიერდებოდა რევოლუციური ბრძოლები, რევოლუციის ახალი და ახალი ტალღები ეჯახებოდა თვითმპყრობელობის საყრდენებს. მაგრამ მაშინ მუშათა პარტიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში არ არსებობდა ერთიანობა რევოლუციის ხასიათის, მისი მამოძრავებელი ძალებისა და ხელმძღვანელის, რევოლუციაში პროლეტარიატის ინტერესების გაგება-შეფასებაში. საჭირო იყო ნათელი რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რაც გააკეთეს ვ. ი. ლენინმა, რსდმპ III ყრილობამ, რომელმაც განსაზღვრა პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე რევოლუციაში, პროლეტარიატის მხრივ მთავარი დარტყმების მიმართულება, რევოლუციის ძალთა მთავარი და მეორეხარისხოვანი რეზერვების განლაგების შესაფერი გეგმა და ა. შ.

რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის მსვლელობამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა ლენინური სტრატეგიული და ტაქტიკური ხაზის სისწორე. ცარიზმის მიერ ჩაგრული ხალხები, განსაკუთრებით საქართველოს გლეხობა, ბოლშევიკური პარტიის სახით ხედავდა საკუთარი ინტერესების ერთადერთ და საიმედო დამცველს. ბოლშევიკური აგრარული და ეროვნული პროგრამა, ბოლშევიკების ლენინური ტაქტიკა მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითად მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარანტიას იძლეოდა. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი რიგ საკითხებში მენშევიკურ გავლენას განიცდიდნენ, პრაქტიკულად ბოლშევიკურ ტაქტიკას ახორციელებდნენ რევოლუციაში. სწორედ ამაშიც უნდა ვეძიოთ მიზეზი მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის იმ დიდი გაქანებისა და ორგანიზებულობისა, რომლითაც გამოირჩეოდა საქართველო მაშინდელ რუსეთში (ვ. ი. ლენინი).

რუსეთში, როდესაც მწიფდებოდა საყოველთაო-სახალხო რევოლუცია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების განსაზღვრას. ამაზე დიდად იყო დამოკიდებული, ეყოლებოდა თუ არა მუშათა კლასს მოკავშირე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, უკეთ, იქნებოდა თუ არა პროლეტარიატი ამ რევოლუციის ჰეგემონი, ან კიდევ მეტი, ეწერა თუ არა რევოლუციას გამარჯვება რუსეთში, თუ განწირული იყო დამარცხებისათვის. ამიტომ მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას არ შეეძლო გვერდის ავლა აგრარული და ეროვნული პროგრამის შემუშავებისათვის. ამიტომ რსდმპ პარტიამ შექმნა და ნათლად ჩამოაყალიბა პარტიის ეროვნული და სოციალური განთავისუფლების პროგრამა. ბოლშევიკური პარტიის

თბილისი-ინსბრუკი: მტკიცდება თანამშრომლობა

თბილისში მეგობრულ ვიზიტად იმყოფება ავსტრიის ქალაქ-პარტნიორის ინსბრუკის დელეგაცია, რომელსაც მისი ბურგომისტრი რომუალდ ნიშერი მეთაურობს.

თბილისსა და ინსბრუკს შორის პარტნიორული ურთიერთობა ჯერ კიდევ სამოციანი წლების დამლევს ჩაისახა. მას შემდეგ ორი ქალაქის წარმომადგენელთა შეხვედრები რეგულარული გახდა. თბილისელებს კარგად ახსოვთ ავსტრიელი მსახიობების — ტიროლის ხალხური ხელოვნების ანსამბლის გამოსვლები. ავსტრიაში წარმატებით გამართეს გასტროლები საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კოლექტივმა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დასმა, ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ორერამ“. ნაყოფიერად თანამშრომლობენ ქართველი და ავსტრიელი მეცნიერები.

შინაარსიანია რესპუბლიკაში დელეგაციის ყოფნის წლევანდელი პროგრამაც. სტუმრებმა უკვე დაათვალიერეს თბილისის ძველი ნაწილი, იყვნენ მცხეთასა და გორში.

დელეგაცია მიიღო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. მესხიშვილმა, რომელმაც სტუმრებს გააცნო ქალაქის ისტორია, მისი აწმყო. ზ. მესხიშვილმა დელეგაციის ყურადღება მიაპყრო 2000 წლამდე თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალურ გეგმას.

საქართველოში ინსბრუკის დელეგაციის წლევანდელმა ვიზიტმა, როგორც ორივე მხარემ აღნიშნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში მიღებისას, კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ორი ქალაქის პარტნიორული ურთიერთობა, შეიტანოს წვლილი ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში.

(საქინფორმი).

ჩინელი სტუმრები საქართველოში

თბილისში ჩამოვიდა ჩინეთის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის სახალხო საზოგადოებისა და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტთა სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფი. მას მეთაურობს პეკინის ახალგაზრდობაში მუშაობის კვლევის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე ძინ ძიანი. ჯგუფის შემადგენლობაში არიან პეკინის სახალხო მთავრობის, ჩინეთის კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციის, ახალგაზრდული მოძრაობის ხელმძღვანელი მუშაკები, ჟურნალისტები.

ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს სტუმრები იყვნენ ლენინგრადში, მინსკში. თბილისში ისინი კვლავ გაეცნობიან სსრ კავშირში ბავშვთა და ახალგაზრდობის იდეოლოგიური აღზრდის სისტემის ორგანიზაციას, ამ სისტემის სტრუქტურას და მუშაობის მიმართულებებს. სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფი სწავლობს აგრეთვე რევოლუციური და პატრიოტული ტრადიციების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის საბჭოთა გამოცდილებას, ახალგაზრდობასა და ბავშვებს შორის კულტურულ და სპორტულ მუშაობას, სამართლებრივი აღზრდის და მოზარდთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საკითხებს.

ჩინეთის წარმომადგენლები მიიღეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. მათ მიესალმა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონტაქტების განმტკიცებას საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის.

შემდეგ გამოვიდა ძინ ძიანი, რომელმაც გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩინეთის წარმომადგენელთა ვიზიტი განამტკიცებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. სტუმარმა აღნიშნა, რომ მათ დიდად აინტერესებთ შეისწავლონ მოზარდი თაობის ყოველმხრივი და ჰარმონიული აღზრდის საბჭოთა გამოცდილება, განავითარონ და განამტკიცონ ჩინეთისა და საბჭოთა ახალგაზრდობის კონტაქტები. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მისი თანამემამულენი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან პოზიტიურ ცვლილებებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ვაჭრობაში, სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაში.

მიღებაზე იყო სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს პირველი მდივანი ჯაო ძინი.

საქართველოში ჩინელ სტუმართა ყოფნის პროგრამაში შედის რესპუბლიკის ისტორიის, კულტურისა და ეკონომიკის გაცნობა, სტუმრობა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, შეხვედრები და საუბრები ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ტარიელის ძე **თავართქილაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ, ინტერნაციონალურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით გადამდგარი გენერალ-მაიორი ივანე დიმიტრის ძე **შაიშმელაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ, იდეოლოგიურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის პრეზიდიუმის წევრი, გადამდგარი გენერალ-მაიორი ზელიმხან არსენის ძე **ხარებოვი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ადამიანის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია.

საზღვარგარეთის ქვეყნების თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირი აყენებს მასშტაბურ, მკაფიო, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას, რომლის მიზანია დაჩქარდეს საბჭოეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალურად და სულიერად მდიდარი ცხოვრება მშვიდობის პირობებში, კიდევ უფრო სრულად გამოვლინდეს ისტორიულად ახალი ტიპის ცივილიზაციის შესაძლებლობანი და უპირატესობანი, რომლებსაც სოციალისტური წყობილება განასახიერებს. საბჭოთა კავშირი, აღნიშნავს პრესა, გადაჭრით გმობს იმპერიალიზმის, მეტადრე ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკას, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს დაძაბულობა ისეთ დონეზე, რომ გაამართლოს ახალ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნა, კოსმოსის მილიტარიზაცია. ამასთან საბჭოეთი იღვწის ისეთ პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომლებიც ზღვარს დაუდებდნენ გამალებულ შეიარაღებას, შეაჩერებდნენ ომის საფრთხეს.

„**უდიდესი** პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტები“, „ადამიანისა და ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ“, „საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი პროგრესის პროგრამა“, „პარტიის პოლიტიკა ხალხის კეთილდღეობის, მშვიდობისა და პროგრესისათვის ზრუნვაა“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა გაზეთები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, ხაზს უსვამს **ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“**, მიიღო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტები, წამოაყენა საბჭოეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ზუსტად დასაბუთებული კონცეფცია. პარტიის მესამე პროგრამის შესრულების პროცესში საბჭოეთი ძლიერ დაწინაურდა კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით. ამასთანავე თანამიმდევრულობა და მემკვიდრეობითობა თეორიაში გულისხმობს მის შემოქმედებით განვითარებას, პრინციპული დებულებების გამდიდრებას ისტორიული გამოცდილების შესაბამისად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ ადგას კომუნიზმის კურსს. პარტიის სტრატეგიის მიზანია მიაღწიოს ჭეშმარიტად ისტორიული მასშტაბის გარდაქმნას — განახორციელოს საბჭოთა სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქცია, გადაიყვანოს იგი განვითარების ინტენსიურ რელსებზე, აიყვანოს საბჭოთა ეკონომიკა ორგანიზაციისა და ეფექტიანობის უმაღლეს დონეზე. და ყოველივე ეს კეთდება ადამიანის სასიკეთოდ, ადამიანის საკეთილდღეოდ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკაში შეიმჩნევა ძალზე საშიში გადახრა, წერს **„ნოიეს დოიჩლანდი“ (გდრ)**. იმპერიალიზმის, მეტადრე ამერიკის იმპერიალიზმის პრაქტიკული მოქმედება სულ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ამ პოლიტიკის არსს: სოციალური რევანში საბჭოეთთან სამხედრო უპირატესობის მიღწევის საფუძველზე. საერთაშორისო განვითარება მიადგა ისეთ მიჯნას, რომელსაც ვერ დავძლევთ, თუ არ მივიღეთ [illegible] პასუხსაგები გადაწყვეტილებანი, რათა ზღვარი დავუდოთ გამალებულ შეიარაღებას. ახლა მთავარია ავლაგმოთ მილიტარიზმისა და ომის ძალები, უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა, ხალხთა საიმედო უშიშროება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს ფართოდ აქვეყნებს და განმარტავს დასავლეთის პრესა. საბჭოთა ხელმძღვანელმა, წერს **„ვაშინგტონ პოსტი“**, თავის მოხსენებაში დაგვიხატა საბჭოთა ეკონომიკის მომავალ ცვლილებათა შთამბეჭდავი სურათი, ხაზი გაუსვა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობას, აღნიშნა, რომ უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში საშიში გადახრა დაისახა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს: სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებათა პროექტი ეკონომიკის დარგში ასახავს საბჭოთა კავშირის განზრახვას — უზრუნველყოს წინსვლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და არსებულ საწარმოთა ინტენსიური მოდერნიზაციის გზით.

გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ მომავალი 15 წლის მანძილზე სსრ კავშირში დასახულია შეიქმნას ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც თავისი მასშტაბით საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების განმავლობაში დაგროვილ პოტენციალს უდრის, ამასთან თითქმის ერთიორად გაიზარდოს ეროვნული შემოსავალი და სამრეწველო წარმოების მოცულობა. ეხება რა სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტს, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს: მ. ს. გორბაჩოვმა დაადასტურა, რომ კომუნიზმის აშენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მიზანია და აღნიშნა, რომ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ნაჩქარევი მოქმედების დროს, საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიმწიფის დონის გაუთვალისწინებლად, კომუნისტური პრინციპების შემოღების ყოველგვარი ცდა განწირულია.

ინგლისის „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ სსრ კავშირში უდიდესი ყურადღება ეთმობა შრომის დისციპლინის განმტკიცებას, პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ეფექტიანობის გაზრდას და მართვის სრულყოფას, რამაც, გაზეთის აზრით, უკვე გამოიღო ნაყოფი.

დასავლეთ გერმანიის ტელევიზია იუწყება: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში საბჭოთა ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მიღებას, რათა ზღვარი დაედოს გამალებულ შეიარაღებას, აღიკვეთოს ომის საფრთხე.

პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის ძირითადი დებულებები, წერს **იაპონიის „მაინიტი“**, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელმა ჩამოაყალიბა, მოწმობს, რომ საბჭოთა საზოგადოების ახლებური თვისებრივი მდგომარეობის მიღწევის თავიდათავია ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. პლენუმზე ნათლად დაისახა წარმოების ეფექტიანობის გაზრდის, დისციპლინის განმტკიცების, მართვის სრულყოფის ამოცანები. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება მოწმობს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ხელმძღვანელობა სოციალურ პოლიტიკას, მასების აქტიურ და ქმედით მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში, აღნიშნავს მეორე იაპონური გაზეთი **„იომიური“**, დასახულია გაბედული მიზანი გააორკეცონ სამრეწველო წარმოების მოცულობა და შემოსავალი მომავალ ათასწლეულის დამდეგს. თუ მთლიანად შევაფასებთ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი რეალიზმით გამოირჩევა.

საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს **სირიის „თიშრინი“**, უმნიშვნელოვანეს ამოცანად წამოაყენა ბრძოლა იმისათვის, რომ საზღვარი დაუდოს გამალებულ შეიარაღებას, აღიკვეთოს ომის საფრთხე. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმების მასშტაბურობა ცხადყოფს სსრ კავშირის ძლიერებას, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მტკიცე წინსვლას.

მოხსენებას, რომლითაც მ. ს. გორბაჩოვი წარსდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი აზოგადებს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებას, განაცხადა პანამის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელმა მდივანმა **მ. პორისტმა**. სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი დიდ ინტერესს წარმოადგენს ყველა მოძმე პარტიისათვის, როგორც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების გზით გადადგმული ახალი ნაბიჯი. მ. ს. გორბაჩოვმა ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პასუხისმგებლობის გრძნობით, კონსტრუქციულად უდგება ომისა და მშვიდობის პრობლემებს, რომლებიც კაცობრიობას აღელვებს. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებები, რომელთა მიზანია აღიკვეთოს ბირთვული კონფლიქტის საფრთხე, თვალსაჩინოდ მოწმობს ლენინური საგარეო პოლიტიკის პრინციპების შემოქმედებით განხორციელებას.

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები

17 ოქტომბერი ● საქდესი იუწყება

● ნიკარაგუა-აშშ

საპროტესტო ნოტა სახელმწიფო დეპარტამენტს

მანაგუა. ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ ხელოვნურად აჭიანურებენ ვიზის მიცემას რესპუბლიკის პრეზიდენტ დანიელ ორტეგასათვის, რომელიც უნდა გაფრინდეს ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოსასვლელად.

ნიკარაგუას მიაჩნია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ეს აქცია კიდევ ერთხელ მოწმობს შეერთებული შტატების მიერ თავისი საერთაშორისო ვალდებულებების სრულ უგულებელყოფას, ნიკარაგუელი ხალხის ეროვნული ღირსების ხელყოფას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი უპატივცემლობას, რომლის ფუძემდებელ პრინციპებსა და წესდებას სისტემატურად არღვევს ამერიკის მთავრობა, ხაზგასმით არის ნათქვამი ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში.

● აშშ-ისრაელი

ცდილობენ კემპ-დევიდის პროცესის რეანიმაციას

ვაშინგტონი. სამუშაო ვიზიტად აქ ჩამოვიდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი. მასთან მოლაპარაკებით თეთრი სახლი ამთავრებს ინტენსიური კონსულტაციების მორიგ ეტაპს, რომელთა მიზანია გაკოტრებული კემპ-დევიდის პროცესის რეანიმაცია.

მას, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს არაბულ სახელმწიფოებთან სეპარატულ გარიგებათა დადების პრინციპი. მოლაპარაკებაზე ძირითადი ყურადღება დაეთმობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს შორის ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული პარტნიორობის“ შემდგომი განმტკიცების, ესე იგი ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონისა და თელ-ავივის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის, რეგიონში მათი ექსპანსიონისტური, ავანტიურისტული ზრახვების ხორცშესხმის საკითხებს.

● იტალია

უთანხმოება მთავრობაში

რომი. იტალიის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა სამმა მინისტრმა — თავდაცვის მინისტრმა ჯოვანი სპადოლინიმ, ფინანსთა მინისტრმა ბრუნო ვიზენტინიმ და პარლამენტთან ურთიერთობის მინისტრმა ოსკარ მამიმ — იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბეტინო კრაქსის გადასცა ოფიციალური განცხადება გადადგომის თაობაზე. მათ შესაბამისი წერილი გაუგზავნეს აგრეთვე რესპუბლიკის პრეზიდენტს.

მინისტრებმა ეს ნაბიჯი გადადგეს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის სასწრაფო სხდომის შემდეგ, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება მმართველი კოალიციიდან პარტიის გასვლის თაობაზე. გადაწყვეტილება განაპირობა იმან, რომ რესპუბლიკური პარტია არ დაეთანხმა იტალიის თბომავალ „აკილე ლაუროს“ ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებულ ამბებში მთავრობის მოქმედებას.

ფოტოფაქტი

თავისუფლება ნელსონ მანდელას!

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალი ქალაქის პროგრესული საზოგადოებრიობის ათიათასობით წარმომადგენელმა ბონში მოაწყო მანიფესტაცია (სურათზე). მათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის რეჟიმს მოსთხოვეს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ნელსონ მანდელა და სხვა პოლიტიკური პატიმრები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

საქდესის ფოტო.

„სამხედრო ძლიერების ეროზიის“ საბაბით

პრეზიდენტ რეიგანის მორიგი მილიტარისტული გამოსვლა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა დაადასტურა განზრახვა განაგრძოს ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ რეალიზაცია, რომლის მიზანია კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია.

ქალაქ ბოისში (აიდაჰოს შტატი) გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს ფართო სამეცნიერო-კვლევით პროგრამას „უშიშროების კოსმოსური ფარის“ შექმნის მიზნით. თეთრი სახლის მეთაური ამტკიცებდა, თითქოს მისი „ინიციატივა“, რომელიც, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს კოსმოსში დამკვრელი სისტემების იარაღის განლაგებას, „დიდად მორალური იყოს და როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მოკავშირეების ძირეულ ინტერესებს, ისე მშვიდობის საქმესაც შეესაბამებოდეს“.

ცდილობს რა გაამართლოს ეს პროგრამა, პრეზიდენტმა კვლავ მიმართა მტკიცებებს მითური „საბჭოთა საფრთხის ზრდის“ და ამერიკის შეერთებული შტატების რაღაც „სამხედრო ძლიერების ეროზიის“ შესახებ. ამასთან მან ხაზი გაუსვა: „შეიარაღების შემცირების დარგში პროგრესს ვერ მივაღწევთ, თუ სისუსტეს ან მერყეობას გამოვიჩენთ. თუ ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებს ვინმესთან მოლაპარაკებას, იგი ძალის პოზიციიდან უნდა აწარმოოს“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ განმარტავს ამას, აგრეთვე მოგვიანებით მილუოკში (ვისკონსინის შტატი) პრეზიდენტის გამოსვლას, და აღნიშნავს: „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეს განცხადებები ყველაზე მიზანმიმართული განცხადებებია „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის დასაცავად. ისინი მიზნად ისახავენ ამ პროგრამას მოუპოვონ მხარდამჭერა ქვეყანაში და ამავე დროს სიგნალი მისცენ, რომ კოსმოსური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამერიკული პროგრამა არ არის მოლაპარაკების საგანი“.

თავის მხრივ პენტაგონის შემდეგ კ. უაინბერგერმა „უორლდნეტის“ სატელევიზიო სისტემით გადმოცემულ პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა: პრეზიდენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს კვლევა „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ფარგლებში.

ჩრდილოეთ ირლანდია

ახალი დამსჯელი აქცია

ლონდონი. ბრიტანეთის ხელისუფლებმა ახალი დამსჯელი აქცია განახორციელეს ჩრდილოეთ ირლანდიაში. როგორც ბი-ბი-სი ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახური იუწყება, ინგლისის „უშიშროების ძალებმა“ ოლსტერის სიდიდით მეორე ქალაქ დერიში „მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრების სერია მოაწყვეს. ამ სერიის შედეგად დაპატიმრებულია 14 ადამიანი — რვა კაცი და ექვსი ქალი. მათი უმრავლესობა, აღნიშნავს ბი-ბი-სი, ეკუთვნის პოლიტიკურ პარტიას შინ ფეინს („დროებითს“). როგორც ინგლისის ტელეკომპანია აღიარებს, „წესრიგის გუშაგებმა“ ჩხრეკის დროს ვერ აღმოაჩინეს „ვერც იარაღი, ვერც ტყვია-წამალი“.

ლონდონის მორიგი რეპრესიული ოპერაცია დერიში განხორციელდა „ტერორიზმთან ბრძოლის“ საბაბით, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა ასეთ შემთხვევაში. პოლიციის თვითნებობის ეს არც პირველი და არც უკანასკნელი გამოვლინება თვალნათლივ ამჟღავნებს „ბრიტანული მმართველობის“ მთელ არსს, რომელსაც კონსერვატიული მთავრობა ახვევს თავს ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობას.

ოლსტერის ყოველი მცხოვრები უმცირესი ეჭვით, ზოგჯერ კი მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის სპეცსამსახურების ფასიანი აგენტების დასმენით, შეიძლება დიდი ხნით დააკავონ. ამასთან, ოფიციალური ლონდონი, როგორც ყოველთვის, მოჰყვება ხოლმე იმის მტკიცებას, რომ საქმე ეხება „კანონიერების უზრუნველყოფას“ და „ტერორისტების“ მოქმედების აღკვეთას. სწორედ ასეთ იარლიყს აკრავენ კონსერვატორები ყველას, ვინც ჩრდილოეთ ირლანდიაში ბრიტანეთის კოლონიური მართვა-გამგეობის წინააღმდეგ ილაშქრებს. ეს იარლიყი ნიღბავს უკმაყოფილოთა გამოსვლების სასტიკ ჩახშობას აშკარა ტერორის მეშვეობით.

ძირითადად ეროვნული და აგრარული პროგრამის საფუძველზე ჩამოყალიბდა რუსეთში მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი. ამ კავშირის ორგანოებს წარმოადგენდნენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. მათი საშუალებით ახორციელებდნენ ბოლშევიკები მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს. ამ კავშირის ხელმძღვანელი ძალა იყო პროლეტარიატი, სოციალ-დემოკრატია (ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე).

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის საჭირო იყო არა მარტო ლიბერალური ბურჟუაზიისა და მათი პოლიტიკური პარტიების, არამედ მენშევიკური პარტიის ოპორტუნიზმის მხილებაც. მენშევიკები სოციალ-დემოკრატიის დროშით შედარებით ადვილად ახერხებდნენ პოლიტიკურად გამოუცდელი ფენების გადაბირებას. ამის გამო იოლი როდი იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა. საჭირო ხდებოდა ბოლშევიკური პარტიის მთელი იდეოლოგიური არსენალის მობილიზება, უმთავრესად, სწორედ მენშევიზმის წინააღმდეგ, რასაც ქართველი ბოლშევიკები ჩინებულად ასრულებდნენ თითქმის ყოველთვის.

ამრიგად, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის პოლიტიკური კავშირის შექმნა-განმტკიცება საქართველოს სოციალ-დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო.

საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი, რომელსაც საფუძვლად ედო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამული მოთხოვნები, განაპირობებდა ამ ორ კლასს შორის ორგანიზაციულ კავშირსაც, ორივე ერთად — მათი რევოლუციური ბრძოლის ერთიან ფორმებსა და მეთოდებს (პოლიტიკური მანიფესტაცია, გაფიცვა, ბოიკოტი, აჯანყება და ა. შ.). საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ფორმები და მეთოდები კანონზომიერად ცვლიდნენ ერთიმეორეს. რევოლუციური გლეხობა ბრძოლის დაბალი ფორმებიდან თანდათანობით გადადიოდა ბრძოლის უფრო და უფრო მაღალ, პროლეტარულ ფორმებზე, მოძრაობის შეგნებულობისა და ორგანიზებულობის შესაბამისად.

მოძრაობის შეგნებულობა და ორგანიზებულობა მკვეთრად იყო გამოხატული საქართველოში, კერძოდ, გურიაში. ამიტომ იყო, რომ წერდა ლევ ტოლსტოი ილია ნაკაშიძეს: „უეჭველად უნდა გავაცნოთ ხალხს ის დიდი ამბავი, რომელიც გურიაში ხდება... გადაეცით მათ (გურულებს, ი. კ.), რომ არა მარტო მე, არამედ მრავალი ხალხი შეხარის მათ და მზად არიან... ყოველგვარად დაეხმარონ, ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რაკი ასეთი დიდი საქმე დაიწყეს და ბევრი რამ გააკეთეს ამ საქმისათვის, ისინი ხელს არ აიღებენ ამაზე და ისევ ამ გზას გაჰყვებიან და ხალხს მაგალითს უჩვენებენ“.

რევოლუციურ მოძრაობაში ძირითად მებრძოლ ძალებს წარმოადგენდნენ სოფლის პროლეტარიატი და ნახევრად პროლეტარული ელემენტები. ისინი ბოლომდე მხარს უჭერდნენ ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკას და პროლეტარული ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს. ამიტომ სწერდა ვ. ი. ლენინი გ. ვ. პლეხანოვს: „ჩვენს ტაქტიკურ უთანხმოებას კი რევოლუცია თვითონ სპობს საოცარი სისწრაფით“.

მენშევიკები უარყოფდნენ შეიარაღებული აჯანყების საჭიროებას, მის მომზადებას: იგი თუ აუცილებელია, სტიქიურადაც მოხდებაო. ამდენად ისინი გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ბოლშევიკები კი მხარს უჭერდნენ რა შეიარაღებულ აჯანყებას, საქვეყნოდ აცხადებდნენ, „ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა აჯანყება მოაწყოსო“. ამიტომ ბოლშევიკები მოითხოვდნენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მასობრივად შექმნას, რაც წარმატებით ხორციელდებოდა. ამ ღონისძიების დიდი მნიშვნელობის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „მუშათა დეპუტატების საბჭოები ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში..., ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვა ადგილებში, ბოლოს, სწრაფწარმავალი „რესპუბლიკები“ რუსეთის რამდენიმე ქალაქში, — ყოველივე ეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობის დასაწყისი იყო...“. ამიტომ გლეხთა რევოლუციური კომიტეტის გამოცხადება ხელისუფლების მხოლოდ ჩანასახად, მართებულია მთელი ქვეყნის მიმართ, მაგრამ, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი საქართველოს მიმართ, იგი აქ უკვე ასრულებდა ხელისუფლების ორგანოების ფუნქციას.

გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ორგანიზაციულად სრულყოფილი და ქმედითუნარიანი იყვნენ საქართველოში და ამდენად გლეხთა მოძრაობა იყო პოლიტიკურად შეგნებული და ორგანიზებული. ამიტომ პარტიის III ყრილობის ერთ-ერთ რეზოლუციაში გლეხთა მოძრაობის შესახებ ჩაწერილი რომაა: „გლეხთა მოძრაობა, რომელიც ამჟამად იზრდება, სტიქიური და პოლიტიკურად შეუგნებელიაო“, ეს სწორი იყო საერთოდ, მთელი ქვეყნის მიმართ, მხოლოდ რევოლუციის საწყის ეტაპის მიმართ, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი გავრცელება არ შეიძლება ზოგიერთ რეგიონზე, კერძოდ, ამიერკავკასიაზე, განსაკუთრებით კი საქართველოზე. აქ თითქმის თავიდანვე, რევოლუციის პირველ დღეებშივე მიიღო გლეხთა მოძრაობამ ორგანიზებული და პოლიტიკურად შეგნებული ხასიათი. ამას ერთხმად ადასტურებს სოციალ-დემოკრატიული პრესა და მთავრობის არაერთი ოფიციალური პირი თუ დაწესებულება. მაგალითად:

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ 1905 წლის 1 იანვრის ცნობით: „მთელ გურიაში ხალხის წარმომადგენლობაა შემოღებული. კანცელარიები დაკეტილია. დიდი კლიტე ადევს ზედ წარწერით: „ვერა პოვოთ სამართალი“.

1905 წლის 15 თებერვლის ფრიად საინტერესო ცნობით: „1902 წელს ოზურგეთის მაზრაში დაწყებული აგრარული მოძრაობა პოლიტიკურ მოძრაობაში გადაიზარდა. იგი გავრცელდა სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისისა და სხვა მაზრებში“.

გაზეთ „ვპერიოდის“ 1905 წლის 10 მარტის ცნობით: „ოზურგეთის მაზრა (გურია) მთლიანად გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხელშია. კომიტეტები ერევიან გლეხკაცის ყველა წვრილმან საქმეებში. სასამართლოები მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთაგან შედგება და მარტო რევოლუციურ კომიტეტებს ემორჩილება“.

სენაკის მაზრის უფროსის 1905 წლის 2 სექტემბრის ცნობით: „სენაკის მაზრაში რევოლუციურმა მოძრაობამ მრისხანე ხასიათი მიიღო... ხელისუფლებას არავინ სცნობს. ხალხს დიდი რაოდენობით აქვს იარაღი და სავსებით მზადაა აჯანყებისათვის. მდგომარეობა მეტისმეტად სერიოზულია“.

გაზეთ „პროლეტარის“ 1905 წ. 5 სექტემბრის ცნობით: „ჭიათურაში ფაქტიურად სრული დემოკრატიული რესპუბლიკაა... მდგომარეობის ბატონ-პატრონი ჭიათურაში არიან მუშები და გლეხები. ადმინისტრაცია არ ჩანს... გლეხთა ჯგუფები და ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოქმედებენ როგორც დროებითი რევოლუციური მთავრობა პატარა მასშტაბით“.

კავკასიის პოლიციის უფროსის ცნობით: „ქუთაისის გუბერნიაში უბრალო ანარქია კი არ არის,... არამედ თავისებური სახელმწიფოა, რომელიც თვითმმართველი რევოლუციური თემებისაგან შედგება. ეს თვითმმართველი თემები ცნობენ მხოლოდ რევოლუციური კომიტეტების ხელისუფლებას. ...ამბები, რომლებიც ქუთაისის გუბერნიაში ხდება, იმდენად გასაოცარია იმპერიის სახელმწიფო წყობილების საერთო ფონზე, რომ უცხოელები სავანგებოდ ჩამოდიან კავკასიაში, რათა ადგილობრივ გაეცნონ რუსეთის სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს“.

კავკასიის მეფისნაცვლის ცნობით: „მთელი მოძრაობა აშკარა რევოლუციური ხასიათისაა და გარკვეულად ატარებს სოციალ-დემოკრატიულ ელფერს“.

ა. სტაროსელსკის ცნობით, „კრომ-გორესადმი წარდგენილი მოთხოვნები უეჭველად სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს მოთხოვნები მთლიანად შესულია თითოეული გლეხისა და გლეხი ქალის შეგნებაში, რომ ეს მოთხოვნები მათი პოლიტიკური თვალთახედვის განუყოფელი ნაწილი გახდა“.

მიხა ცხაკაია რსდმპ III ყრილობაზე მრავალგზის აღნიშნავდა უდავო ფაქტს, რომ საქართველოში გლეხთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში იდგა სოციალ-დემოკრატია. ჩვენს პარტიას, ამბობდა იგი, გლეხთა მოძრაობისადმი ორგანიზატორული ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება აქვსო კავკასიაში.

ივანე ჯავახიშვილის ცნობით: საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია დაფარული იყო გლეხთა რევოლუციური კომიტეტებითა და სასამართლოებით, რომლებიც თავიანთ ხელისუფლებას ახორციელებდნენ შეიარაღებულ ხალხზე — „წითელ რაზმელებზე დაყრდნობით“. „გლეხთა რევოლუციური კომიტეტები იყვნენ სრულიად დემოკრატიული და გასაგები, რადგან ყველაფერს აწარმოებდნენ ქართულ ენაზე და ექვემდებარებოდა კონტროლს“. „ამაში გამომჟღავნდა ქართველი ხალხის ორგანიზატორული უნარი და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი კულტურა“.

ამრიგად, 1905 წლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში წარმოადგენდა არა სტიქიურ, არამედ სოციალ-დემოკრატიის მიერ მტკიცედ ორგანიზებულ და პოლიტიკურად შეგნებულ მოძრაობას.

1905-1907 წლების რევოლუცია, ცნობილ გარემოებათა გამო, დამარცხდა, მაგრამ მან რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატს მისცა მდიდარი ისტორიული გამოცდილება და მრავალი ანგარიშგასაწევი გაკვეთილი. რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების, ბოლშევიკური სტრატეგიული გეგმისა და ტაქტიკური გეზის შემოქმედებითად გამოყენებას ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდნენ ევროპის მუშები და აზიის ჩაგრული ხალხები. ამის შესახებ 1907 წელს ქართული ბოლშევიკური გაზეთი „მნათობი“ წერდა: „ჩვენ ახლა რუსულად გვინდა ვიბრძოლოთ“, ეუბნებოდნენ თურმე თავიანთ ბელადებს გერმანელი მუშები... საფრანგეთის პროლეტარიატი კი „მეორე კომუნით“ ემუქრებოდა საფრანგეთის ბურჟუაზიას... თუ ის სესხს მისცემდა, რუსეთის ბიუროკრატიას... ფრანგ მუშებსაც „რუსულად“ უნდოდათ ბრძოლა... ჩინეთის ახალგაზრდა პროლეტარიატი „რუსებივით“ ჩაერთო მოძრაობის ტალღებში წინააღმდეგ ბატონყმური წესებისა..., ინდოეთის პროლეტარიატმა ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ მჩაგვრობას. სპარსეთიდან საერთო გლაშქრებით მიესალმნენ „რუსებს“. ცხადია, ბატონ-ყმური აზია აფორიაქდა, მანაც „რუსულად“ მოინდომა ბრძოლა“.

ყოველივე აღნიშნულის გამო კარლ ლიბკნეხტს საკმაო საფუძველი ჰქონდა ეთქვა: **„თავისუფლება, რომლის ცისკარი რუსეთზე ამოდის, ამავე დროს არის თავისუფლება პრუსიისათვის, საქსონიისათვის, გერმანიისათვის... ჩვენ უეჭველი საფუძველი გვაქვს დავდგეთ რუსეთის რევოლუციის დროშის ქვეშ“.**

ამრიგად, 1905-1907 წლების „რუსეთის რევოლუციამ, — როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, — გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში...“. 1908 წელს მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია თურქეთში, 1906 წელს დაიწყო ბურჟუაზიული რევოლუცია სპარსეთში, რასაც 1909 წელს შაჰის დამხობა მოჰყვა. 1910 წელს გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა ჩინეთში ფეოდალებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

რუსეთის პირველმა სახალხო რევოლუციამ დასაბამი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ და დემოკრატიული რევოლუციების ეპოქას აზიაში. აზიის გამოღვიძებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპისთვისაც. „ახლა ჩვენ სწორედ ამ ქარტეხილებისა და ევროპაზე მათი „უკუფენის“ ეპოქაში ვცხოვრობთო“, წერდა ვ. ი. ლენინი. „აზიის შემდეგ ამოძრავდა მხოლოდ არა აზიურად — ევროპაც“ (ვ. ი. ლენინი). ევროპის ხალხებს მხარი მისცეს ლათინური ამერიკისა და ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებმაც. რევოლუციურმა მოძრაობამ იფეთქა მექსიკაში, რევოლუციური ბრძოლის ტალღები დღითიდღე ძლიერდებოდა არგენტინაში, ჩილეში, ბრაზილიაში.

ამრიგად, 1905-1907 წლების რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ძირითადი თავისებურებანი ის იყო, რომ იგი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ეპოქის პირველ სახალხო რევოლუციას, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში შეიქმნა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი ბოლშევიკური პარტიით სათავეში, რომ რევოლუცია „თავისი სოციალური შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მაგრამ ბრძოლის საშუალებებით პროლეტარული“ (ვ. ი. ლენინი). რუსეთის რევოლუციაში პირველად განხორციელდა მარქსისტულ-ლენინური იდეა მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ და რომ ამ რევოლუციამ თავიდანვე მიიღო საერთაშორისო ხასიათი (ე. იაროსლავსკი).

საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის მტკიცე ორგანიზაცია და მასობრივი ხასიათი, მედგარი შეტევა და თავგანწირული ბრძოლა პირობადებული იყო საქართველოს „სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობებით“: კერძოდ, ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების დიდი სიჭარბით; მოსახლეობის პოლიტიკური უუფლებობით და მძიმე მატერიალური მდგომარეობით; სოფლის პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის სიჭარბით; მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილის „ორ მოსამართიანი“ ცხოვრებით; ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრით; მოსახლეობის შედარებით მაღალი კულტურული დონითა და პოლიტიკური მოწიფულობით.

საქართველოს „სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა“ აგრეთვე განსაზღვრეს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის თავისებურებანიც. მათ შორის უმთავრესი იყო: 1905-1907 წლების რევოლუციაში საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური და ორგანიზაციული კავშირის განხორციელება; გლეხთა რევოლუციური მოძრაობისადმი თავიდანვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა; ბოლშევიკების მიერ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ჩამოყალიბება ჯერ აჯანყების ორგანოდ, შემდეგ კი მათი გარდაქმნა ხელისუფლებისა, და ბოლოს, მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის ორგანოდ; პარტიული კუთვნილების მიუხედავად, თითქმის მთელი გლეხობის ბრძოლა ბოლშევიკური ტაქტიკური ლოზუნგებით, გლეხობის — „სოფლის პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის ბრძოლა არა მარტო მემამულე-თავად-აზნაურთა წინააღმდეგ, არამედ სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის წინააღმდეგაც, ამდენად იგი სოციალიზმისათვის ბრძოლაც იყო, და ბოლოს, მცირე როლი როდი შეასრულა რევოლუციაში თვით ხალხის ეროვნული ხასიათის თავისებურებებმაც“ (მ. ცხაკაია).

იური კაჭარავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲡ

ნათქვამია, ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობიაო, მაგრამ ლამაზი ხანახაობის მოლოდინში, რომლითაც ყოველთვის აღინიშნება რესპუბლიკის დედაქალაქის სახელობის დღე, ყოველი მხრიდან გაისმის შეკითხვები: „რა სიახლე იქნება თბილისობაზე?“ სად, როდის, როგორ მოეწყობა ეს დღესასწაული, აინტერესებს ყველას — იმათაც, ვინც უკვე ყოფილა მისი სტუმარი და იმათაც, ვისაც სურს დაესწროს მას. ინტერესის გეოგრაფია წლითიწლობით ფართოვდება. როგორც კავშირგაბმულობის მუშაკები ადასტურებენ, ამ დღეებში საქალაქო ფოსტის მოცულობის ზრდაც კი შეინიშნება. ეს საუკეთესოდ ასახავს დღესასწაულის არსს, რომელიც იმართება დევიზით „თბილისი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია!“

და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ინტერესს იჩენენ თვად თბილისელები. დღესასწაული ხომ მათი ხელით იქმნება და გამსჭვალულია მისწრაფებით — სიკეთე იყოს ყოველ ოჯახში, ყოველ სახლში, შრომით კოლექტივში — მთელ ჩვენს საერთო ცხოვრებაში.

„თბილისობა-85“-ის პრემიერებზე საქინფორმის კორესპონდენტის ი. სუდაკოვას თხოვნით გვესაუბრება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. ბურგენიძე:

— კალენდარულმა თარიღმა — ოქტომბრის უკანასკნელმა კვირამ — თბილისობა ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის წლისთავის უცვლელ თანამგზავრად აქცია. წელს თბილისობისათვის მზადება მიმდინარეობს საქმიანობის ყველა სფეროში გააქტიურების ვითარებაში, რაც გამოიწვია მომავალმა სკკპ XXVII ყრილობამ. დამკვრელურ მუშაობას ახალ იმპულსს ანიჭებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენი საქალაქო დღესასწაულის განწყობილებას, შინაარსს, რომელსაც მთელი რესპუბლიკა აღნიშნავს..

თავად ტრადიციის სიახლით გამოწვეულ აღფრთოვანებას ცვლის უფრო მომთხოვნელი დამოკიდებულება დღესასწაულის მიზნებისა და ამოცანებისადმი, მისწრაფება გავაღრმავოთ, გავაფართოვოთ მისი გავლენა ქალაქის ცხოვრებაზე. როგორც ყოველთვის, მშვენდება ქუჩები, მოედნები, ეზოები, სახლების აივნებიც კი — მიმდინარეობს კონკურსი საცხოვრებელი ადგილის საუკეთესო გაფორმებისა და კეთილმოწყობისათვის. ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ვარკეთილი-III საცხოვრებელი მასივის მცხოვრებლებისათვის ყოველივე ეს განსაკუთრებულ აზრს იძენს. აქ წარმოებს მიკრორაიონების კომპლექსური განაშენიანება. საცხოვრებელ სახლებთან ერთად იგება ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, საბავშვო და კულტურული დაწესებულებები, მიმდინარეობს მახლობელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. მაგალითად, კორპუსებს შორის გაყვანილია კილომეტრიანი ფეხით სასიარულო გზა, რომლის გასწვრივაც იქმნება დასვენების მყუდრო კუთხეები, ბავშვთა სათამაშო მოედნები.

ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში აქ გაიმართება მორიგი მასობრივი ახალმოსახლეობა. მასივი 40 ათასი მცხოვრებისთვისაა გათვალისწინებული. მეტრომშენებლები ასამოქმედებლად ამზადებენ ახალ ხაზს და ვარკეთილის სადგურს. თბილისობაზე კი აქ გაიხსნება რამდენიმე საფირმო მაღაზია, გაიმართება 26 კომისრის რაიონის საწარმოთა მიერ გამოშვებული ფართო მოხმარების საქონლის ბაზრობა. თავიანთ პროდუქციას წარმოადგენენ აგრეთვე ქუთაისელი, ზუგდიდელი, ფოთელი სტუმრები.

— დედაქალაქის დღესასწაული მუდამ მდიდარია აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქიდან ჩამოსული სტუმრებით. ისინი იზიარებენ ურთიერთობის საერთო სიხარულს, ამშვენებენ პროგრამას თავისთავადი ხელოვნებით და, რა თქმა უნდა, ხელცარიელი არ ჩამოდიან.

— შაბათს, 26 ოქტომბერს, მთელ ქალაქში მოეწყობა ბაზრობები. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა თბილისელებს მოუმზადეს შემოდგომის უხვი ნობათის ფართო არჩევანი: ხილი, ბოსტნეული, წვენები. ტკბილეული, ეროვნული სამზარეულოს ნაწარმი. ეს ყველაფერი დაამშვენებს სადღესასწაულო სუფრას ყოველ ოჯახში და უალკოჰოლოდაც შეაინიჭებს მხიარულებას ყველას.

რიყეზე ეთნოგრაფიულ კუთხეებში გაიმართება ხალხური სარეწების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა. ოდნავ მოშორებით დარეჯანის კოშკის ძირში ფრინველის ბაზარი მოეწყობა. ერთ-ერთ ფიცარნაგზე გაიმართება თბილისის მოდელების სახლის მიერ შექმნილი ტანსაცმლის დემონსტრაცია. ღია ცის ქვეშ მოწყობილ სცენებზე ქალაქის ყველა კუთხეში კონცერტებს გამართავენ თვითმოქმედი კოლექტივები, საესტრადო ანსამბლები, ცირკის მსახიობები, რომელთა გამოსვლები შარშან ძალზე მოეწონათ თბილისელებს. სპორტული მოედნები დაეთმობა მასობრივ შეჯიბრებებსა და ფიზკულტურელთა საჩვენებელ გამოსვლებს.

საგამოფენო დარბაზებსა და გალერეებში გაიხსნება ფუნჯისა და საჭრეთლის, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების საშემოდგომო ვერნისაჟები, ხალხური ხუროთმოძღვრების მუზეუმში თავიანთ შემოქმედებას წარმოადგენენ თვითმოქმედი პოეტები. მოეწყობა ბავშვთა დიდი დღესასწაული. ნორჩ თბილისელებს და მათ სტუმრებს დაეთმობათ მთელი ბარათაშვილის ქუჩა ანჩისხატამდე. მტკვარზე ივლის სასეირნო ტრამვაი, სადაც იქნება ბავშვთა კაფე, ხმელეთზე კი ნორჩებს შეეძლებათ ისეირნონ ფაეტონებში შებმული პონებით. დღე დასრულდება ახალგაზრდული საღამოთი რესპუბლიკის მოედანზე. როგორც ხედავთ, გათვალისწინებულია ქალაქის ყველა ასაკობრივი ჯგუფის მცხოვრებთა სხვადასხვა გემოვნება და ინტერესები.

— კვლავ დიდია ინტერესი ძველი ქალაქის აღორძინებისადმი. რა სიახლე იქნება ახლანდელი დღესასწაულის დროს მის რუკაზე?

— გაიხსნება მეგობრობის მომღერლის, საიათნოვას მემკვიდრის იეთიმ გურჯის ძეგლი. მისი ავტორები არიან მოქანდაკე ჯ. მიქატაძე და არქიტექტორი შ. ყავლაშვილი. ქალაქის დაცული ზონის ახალმშენებლობებიდან, ამჟამად რესტავრაცია მოიცავს ორბელიანთ უბანს მშრალი ხიდიდან სიონამდე. მინდა გამოვყო თეატრალიზებული კაფე მარჯვენა სანაპიროზე. აქ პატივს მიაგებენ წარმოების მოწინავეებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, სახალხო მეურნეობის სრულიად სხვადასხვა სფეროს მუშაკებს. მიმდინარე წელი ღირსშესანიშნავი იყო ქვეყნის, რესპუბლიკის ცხოვრებაში. შრომითი დღეების დიდი დაძაბულობა აისახა საქართველოს ყოველი მშრომელის მიღწევებში. სხვათა შორის, რესპუბლიკის მოედანზე ახალგაზრდობა პატივს მიაგებს სტუდენტებისა და უფროსკლასელების რაზმებს, რომლებმაც დამკვრელურად იმუშავეს მესამე შრომითი სემესტრის და რთვლის დროს.

და, რა თქმა უნდა, ამ დღეს, ტრადიციისამებრ, ყველა შეიტყობს თბილისის ახალ საპატიო მოქალაქეთა სახელებს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ხალხის, მშობლიური ქალაქის, ქვეყნის სამსახურის ღირსეული მაგალითია.

დღესასწაული აგვირგვინებს სადაგ დღეებს. თბილისობა მუდამ საქმიანი და ლამაზი, მხიარული და შინაარსიანი, ახლის აღმშენებელი და ძველის შემცნობი იყო. ასეთს გახდიან მას თბილისელები მთელი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად წელსაც, რომელიც აგვირგვინებს მიმდინარე ხუთწლედის მიღწევებსა და განსაზღვრავს უახლესი მომავლისათვის მუშაობის მიმართულებებს.

ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა, სადაც გაეცნობით ყველაზე თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობას, რომელიც შეიქმნა გამოთვლითი, ლაზერული, რენტგენო-რადიოლოგიური, ულტრაბგერითი, ზესიხშირული და სხვა დარგის ტექნიკის გამოყენების საფუძველზე. გამოფენაში მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების, იუგოსლავიისა და ფინეთის წამყვანი გაერთიანებები, საწარმოები და ფირმები.

თბილისის გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის კვლევისათვის, ბოჭკოვანი ოპტიკის გამოყენებით შინაგანი ორგანოების შესწავლისათვის გათვალისწინებული აპარატურა, რენტგენულ-დიაგნოსტიკური მოწყობილობა, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიებისათვის გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებანი, სამედიცინო დანიშნულების პოლიმერებისაგან დამზადებული ნაწარმი, მკერავი აპარატები და სხვა.

საბჭოთა განყოფილება ყველაზე ვრცელია. აქ წარმოდგენილია ორმოცზე მეტი სამინისტროს და უწყების, ასზე მეტი სამრეწველო საწარმოს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის საქმიანობის შედეგები. ისინი ასახავენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წვლილს ჯანმრთელობის ინდუსტრიის წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციაში.

საერთაშორისო გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ჩერქეზიამ. გახსნაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გ. ლეჟავა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო ტექნიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ა. შიშოვი.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ა. საყვარელიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე.

• • •

გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და ფინეთის მონაწილეობით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამედიცინო ტექნიკის გამოფენა-დემონსტრაციის გახსნას. პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. მენაღარიშვილმა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების წინაშე გამოვიდნენ გამოფენის მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა ხელმძღვანელები და პასუხი გასცეს მათ კითხვებს.

გ. ლომთაძე.

სურათზე: ჩეხოსლოვაკიის „პირანის“ გაერთიანების ექსპოზიცია, წყალქვეშა მასაჟის აბაზანები.
ჯ. ლომაძის ფოტო.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ გაიმართა სახალხო დღესასწაული, რომელიც დაიწყო ცხინვალის რაიონის სოფელ ხეთაგუროვოს მახლობლად. იგი მიეძღვნა დიდ ოს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს კოსტა ხეთაგუროვს.

... საზეიმოდ მორთულ დიდ მდელოზე აღმართულია ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერილია ა. ფადეევის სიტყვები: „კოსტა ხეთაგუროვი ოსი ხალხის თავისებური ლეონარდო და ვინჩია“. ფართო აზროვნება, მტკიცე რწმენა, რომ სიკეთე აუცილებლად დაამარცხებს ბოროტებას, — კოსტას შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ეს თვისებები ყველა ხალხისათვის მახლობელია.

დიდი პოეტისადმი მიძღვნილი პოეზიის დღესასწაული გადაიქცა შრომის ზეიმადაც, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მარტო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსული მრავალი სტუმარიც.

მიტინგზე გამოსულმა პროფესორმა ვ. აბაევმა წაიკითხა კოსტა ხეთაგუროვის ლექსები. პროფესორმა ნაფი ჯუსოითიმ შეკრებილთ გააცნო კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრება და მოღვაწეობა, პოეტის ბიოგრაფიის შედარებით ნაკლებად ცნობილი მხარეები. ოსმა პოეტებმა წაიკითხეს კოსტა ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ თვითმოქმედი და პროფესიული მსახიობები და შემოქმედებითი კოლექტივები. (საქინფორმი).

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

ᲛᲔᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მეჩვიდმეტე პარტია, რომელშიც თეთრებით თამაშობდა კასპაროვი. პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 9:8 კასპაროვის სასარგებლოდ.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საერთაშორისო ტურნირის ერთი თავისებურება ის გახლავთ, რომ პარტიების უმეტესობა პირველსავე დღეს არ მთავრდება, რაც მოჭადრაკეთა დიდ შეუპოვრობაზე მიანიშნებს. მაგალითად, მეექვსე ტურში ერთადერთი პარტია დამთავრდა. ლევიტინა, როგორც მოგეხსენებათ, პირველ ადგილზეა, არც ახმილოვსკაია ემდურის თავის სატურნირო მდგომარეობას. ამიტომ მეტოქეებმა გაამარტივეს მდგომარეობა და დაზავდნენ.

იოსელიანი, წინა ტურში მოულოდნელი მარცხის შემდეგ, მხოლოდ მოგებას ეშურებოდა და ხანგრძლივი მანევრული თამაშის შემდეგ პაიკი მოუგო ლვოველ ჩელუშკინას, რომლის თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. პარტია გადაიდო იოსელიანის მატერიალური უპირატესობით. მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა ხუგაშვილ-კახიანისა და არახამია-ლაგვილავას შეხვედრებში. ხუგაშვილმა პაიკი მოუგო თავის ნორჩ მეტოქეს და პარტია უკეთეს ენდშპილში გადადო. ასეთივე უპირატესობა აქვს არახამიასაც. ტურნირის ვეტერანი ლაზარევიჩი შავებით ინიციატივას დაეუფლა ჰაიკოვასთან და გადადებულ პარტიაში მსუბუქი ფიგურების ენდშპილში უკეთესი შესაძლებლობები აქვს. ვერეცი-პეტრონიჩმა თანდათან აჯობა მიჩიჩს. აქამდე უნგრელს მხოლოდ ყაიმები ჰქონდა და მიჩიჩთან გადადებულ პარტიაში პირველი ქულის მოპოვების იმედი აქვს. გარსია-გურიელის პარტია არ გამართულა ქართველი დიდოსტატის ავადმყოფობის გამო.

6 ტურის შემდეგ ლევიტინას 4 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ხუგაშვილსა და არახამიას — 3-3 ქულა და თითო გადადებული, ახმილოვსკაიას — 2,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

გ. გამრეკელი.

ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲪ ᲓᲐ...

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩი (ევროპის მეექვსე ჯგუფი) რომ სსრ კავშირის ნაკრებმა ირლანდიის ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდს მოუგო ანგარიშით 2:0, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. საბჭოთა ფეხბურთელებმა მართლაც კარგად ითამაშეს საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან. ირლანდიელთა კარში პირველი ბურთი გაიტანა ჩერენკოვმა (61-ე წუთზე). მატჩის ბოლო წუთზე კი პროტასოვმა იმარჯვა. ამ გამარჯვებამ საბჭოთა ნაკრებს მნიშვნელოვნად გაუზარდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის შანსები. ამჯერად სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა ასეთი გახლდათ: დასაევი, მოროზოვი, ჩივაძე, დემიანენკო, ბუბნოვი, ზავაროვი (ბესონოვი), გოცმანოვი, ჩერენკოვი, ალეინიკოვი, პროტასოვი, ბლოხინი (კონდრატიევი). მეექვსე შესარჩევ ჯგუფში გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა: ნორვეგიელებმა მიიღეს დანიელები. აქ სტუმრებმა მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება — 5:1. აღსანიშნავია, რომ დანიელთაგან 3 ბურთი გაიტანა ბერგრენმა.

დღეისათვის მეექვსე ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დანია	7	4	1	2	13—5	9
სსრ კავშირი	7	3	2	2	12—8	8
შვეიცარია	7	2	3	2	4—9	7
ირლანდია	7	2	2	3	4—6	6
ნორვეგია	6	1	2	3	3—8	4

ასე რომ, ჯგუფში სამი შეხვედრაა დარჩა გასამართავი: სსრ კავშირი-ნორვეგია (30 ოქტომბერს), ირლანდია-დანია და შვეიცარია-ნორვეგია (13 ნოემბერს). როგორც ხედავთ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ორი საგზურის მოპოვების ყველაზე კარგი შანსები დანიელ და ჩვენს ფეხბურთელებს აქვთ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ სხვა ჯგუფებში გამართული მატჩების შედეგები კი ასეთია: **მეორე ჯგუფი.** გფრ-პორტუგალია — 0:1, ჩეხოსლოვაკია-შვეცია — 2:1. აქ ახლა უკვე ორივე ფინალისტის ვინაობა გაირკვა. ესენი არიან გფრ-ის და პორტუგალიის ნაკრები გუნდები; **მესამე ჯგუფი.** ინგლისი-თურქეთი — 5:0, რუმინეთი-ჩრდილოეთ ირლანდია — 0:1. ფინალურ შეჯიბრებაში იასპარეზებენ ინგლისელებიც, რომელთაც ამ ჯგუფში ჯერჯერობით 11 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან ჩრდილოეთირლანდიელები — 9 ქულა (14 შესაძლებლიდან), ფინელები — 8 (16-დან), რუმინელები — 7 (14-დან), თურქები — 1 (14-დან).

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ თამაშის უფლებისათვის პირველი ფინალური მატჩი გაიმართა თავიანთ ჯგუფებში მეორე ადგილებზე გამოსულ ბელგიელებსა და ჰოლანდიელებს შორის. ეს პირველი შეხვედრა მოიგეს ბელგიელებმა — 1:0. ორი კვირის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურები უკვე მოიპოვა 13-მა ქვეყანამ. ესენი არიან: იტალია, მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, კანადა, ესპანეთი, გფრ, უნგრეთი, პოლონეთი, პორტუგალია, ინგლისი და ბულგარეთი. ფინალის დანარჩენი 11 საგზურის მფლობელთა ვინაობა 17 ნოემბრამდე გაირკვევა.

„ᲤᲐᲜᲐᲜᲝ-ᲐᲠᲢᲔ“—ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲟᲘᲣᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ იტალიის მოდენის პროვინციის ქალაქ ფანანოში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცხრამეტი მოქანდაკე — საჭრეთლის ოსტატთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი მუშაობდნენ თემაზე: „ხელოვნება და გარემო“.

სიმპოზიუმზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იყო ახალგაზრდა რუსთაველი მოქანდაკე ჯუმბერ ჯიქია. პირობები სიმპოზიუმისა, რომელიც უკვე მესამედ იმართება იტალიის ამ ქალაქში, ითვალისწინებს მაყურებელთა თვალწინ ადგილობრივ ქვაზე მუშაობას. აქ შექმნილი ნაწარმოებები ხდება საკუთრება მუნიციპალიტეტისა, რომელმაც ამ ნამუშევრებისათვის სპეციალური მუზეუმი დააარსა. პრემირებული ქანდაკებები მთელი წლის მანძილზე მოედანზე რჩება, შემდეგ კი ადგილს უთმობენ ახალი სიმპოზიუმის მონაწილეთა შემოქმედებას.

ყოველწლიურად იცვლება სიმპოზიუმის თემები, რომლებიც, როგორც წესი, აქტუალურია, ემსახურება მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგებისათვის, პროგრესისათვის ბრძოლაში ხელოვნების როლის შემდგომ გაღრმავებას.

— სიმპოზიუმის გახსნის დღეს მისმა ორგანიზატორებმა და ქალაქ ფანანოს მერმა ჯანკარლო მუცარელიმ, — თქვა ჯ. ჯიქიამ, — მე და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსულ მოქანდაკე დ. რომულოს დაგვავალეს ცაში მტრედები აგვეფრინა. მშვიდობის მტრედები ჯერ კიდევ მოედნის თავზე დაფრინავდნენ, როცა შეხვედრის მონაწილეებმა დაიკავეს ადგილები. ცხრა დღეს გრძელდებოდა მუშაობა. ამ ხნის მანძილზე ვხედავდით მომღიმარე სახეებს, ხალხი მეგობრულად გვესაუბრებოდა, მათ აინტერესებდათ ყველაფერი, რაც ეხება ჩვენს ქვეყანას.

შემდეგ (სპეციალისტების გარდა, თითოეული ჩვენგანის ნამუშევარს „მაყურებელთა ჟიური“ აფასებდა) გამოირკვა, რომ იტალიელი მაყურებლების სიმპათია სწორედ საბჭოთა მოქანდაკემ დაიმსახურა.

რუხი, ორ მეტრზე მეტი სიმაღლის ადგილობრივი ქვისაგან ჯ. ჯიქიამ გამოაქანდაკა ბარელიეფი, რომელსაც იტალიელებმა „მიქელანჯელო და მუზა“ უწოდეს. მის ნამუშევარს მიენიჭა უმაღლესი პრიზი „ფანანო-არტე“ და „მაყურებელთა ჟიურის“ უმაღლესი შეფასება. ეს მოქანდაკის პირველი „საზღვარგარეთული“ ჯილდო როდია. შარშან მისი ნამუშევარი „მხედარი“, ოქროს მედლით დაჯილდოვდა, ექსპონირებული იყო პარიზის „გრან-პალეში“. უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა, ასევე ჯ. ჯიქიას ქანდაკება „კენტავრი“ პლენერზე, პოლონეთის ქალაქ რადომში.

თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, მოქანდაკეების ვ. თოფურიძისა და გ. ოჩიაურის მოწაფე, რომელიც გულთბილად იხსენებს თავის მასწავლებლებს, ბევრს და შეუპოვრად მუშაობს. 1975 წლიდან დაწყებული იგი რესპუბლიკის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გამოფენის მონაწილეა. მისი ქანდაკებები გამოფენილი იყო მოსკოვსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. ახალგაზრდა ხელოვნის შემოქმედებითი კრედოა: „იმუშაოს და იმუშაოს, რათა სარგებლობა მოუტანოს თავის ხალხს, „ისევე როგორც მუშაობს მამამისი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ელექტრიკოსი ოთარ ჯიქია, რომელიც საამქროში მისი გახსნისთანავე მოვიდა და მშობლიური კოლექტივის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, როგორც მუშაობდა დედამისი, რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს მედდა, რომელმაც სამი ვაჟი აღზარდა. ჯუმბერის ერთმა ძმამ უკვე დაამთავრა სამხატვრო აკადემია დიზაინის სპეციალობით, მეორემაც მოქანდაკეობა გადაწყვიტა და ამავე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს.

ახლა ჯ. ჯიქია ქმნის ცხენების სკულპტურულ ფიგურებს, რომლებიც დაამშვენებს მოსკოვის იპოდრომს, ოცნებობს თბილისშიც მოეწყოს ბიენალე, სადაც ღია ცის ქვეშ იმუშავებდნენ სხვადასხვა ქვეყნის მოქანდაკეები.

ლ. გაგუა,
საქინფორმის კორესპონდენტი

სურათზე: ჯუმბერ ჯიქია.
შ. აივაზოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲝᲠᲜᲘ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ — ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲨᲘ „სოჭი: ქარიშხლის შემდეგ“ (№ 241) ჩვენი გაზეთი გიამბობდათ, კერძოდ, ორ ძმაზე — ჩვიდმეტი წლის გოჩასა და ხუთი წლის დავითზე, რომლებიც ნიაღვარმა გაიტაცა. აბობოქრებულ ზღვაში მათ ხუთ საათს გაძლეს. როგორ გადარჩნენ? როგორია მათი შემდგომი ბედი? ეს აინტერესებს მრავალ მკითხველს. ჩვენი კორესპონდენტი ჩავიდა თბილისში ამ ბიჭების საძებნელად. და მიაგნო კიდეც. მათ დაწვრილებით უამბეს ყველაფერი. ავტორი მოულოდნელ სიტუაციასაც წააწყდა.

ᲠᲝᲒᲝᲠ იყო ეს? წვიმა უბრახუნებდა ავტომობილის სახურავს, ხან თითქოს გადაიღებდა, ხან ახალი ძალით დასცხებდა. „ისევ წვიმს“, — გაიფიქრა გოჩამ, როცა შუაღამისას გაეღვიძა. ავტომობილის საათზე სამი სრულდებოდა. მან ოდნავ გამოაღო კარი, ზღვიდან მონაბერი ცივი ქარი შემოიჭრა და სალონში უსიამოვ-

...

გავარდა მეზობლებთან. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უბრახუნებდა კარებზე, ვაითუ ვერ გავაგონოო.

— იქნებ გავასწროთ, ჩქარა — მანქანები! — შესძახა მამამ.

მაგრამ მანქანა უკვე შუამდე წყალში იყო. გოჩას დედა — ჯულიეტა — ორ ბავშვთან ერთად როგორღაც რკინიგზის ყრილზე

...

ლოა“. იქ ვიღაც ჭაბუკი იდგა, გოჩამ დაუძახა:

— ხელი მომე!!!

მაგრამ ის კაცი არ ჩქარობდა. იქნებ ვერ გაიგონა, ბიჭის ძახილს წყლის გრიალი ახშობდა. ისევ დაუძახა:

— გვიშველეთ!

— შემეშვი! შენთვის არა მცალია...

...

— მამამ მისროლა და მიწაზე აღმოვჩნდი, — ამბობს იგი. — თვითონ მამა ცალი ფეხით უკვე ყრილზე იდგა. ხელში ჩემი ერთი წლის ძმა ეჭირა. გვერდით მდგომ ძიას სთხოვა: „გამომართვით ბავშვი!“ ძიამ კი უპასუხა: „შენთვის

...

არ მიგრძვნია. მარტო პასპორტებში წერია, რომ ის ატეშიანია, მე კი ჯაფარიძე. პასპორტს რა მნიშვნელობა აქვს. არა? ყველაზე კარგი მამა იყო ამქვეყნად. პროფტექგანათლების რესპუბლიკური კომიტეტის ავტო-

...

თითქოს ყველაფერი ნათელია. მაგრამ...

— ერთი მიბრძანეთ, ცურვა თუ იცით?

კვერი დამიკრა და, ეჭვი რომ არ შემპარვოდა, ცნობილი თბილისელი მწვრთნელი დამისახე-

...

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ